

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი

8
1983

# ვ. მაიაკოვსკი — 90



ამე და სახელი გავსწორდებით, —
ჩვენ ხომ ძმები ვართ, —
და მომავალში

საზიარო ჩვენთვის ძეგლია —
სოციალიზმი, ნაშენები
საერთო ბრძოლით.

ვლ. მაიაკოვსკი

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# შრომის ბილიკებით



მთები, მობიბინე მინდვრები, ისევ მთები... და აი, გამოჩნდა სოფლები: აცანა, ტელმანი, ქვევით კი სამხრეთისაკენ მიმავალი მდინარე აცაურა, რომლის შესახებ ენასხარტი გურულები ამბობენ: „ყველა წყალი ქვევით მიდის, აცაურა ზევითაო“.

ცოტაც და ესეც სოფელი მამათი, დამშვენებული ჩაის პლანტაციებით, მოშრიალე ციტრუსების ბაღნარით, ჯიშიანი ხეხილის ნარგავებით.

ცენტრის ახლოს აუზია. წინა ფასადზე დგას ლამაზი გოგონაა ქანდაკება, მოხდენილად რომ უჭირავს ხელში დოქი მაცოცხლებელი სასმელისათვის. წყალი აქ ყოველ ოჯახში მოჩხრიალებს.

სოფლის ცენტრს ამშვენებს კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიანი შენობა, მაღაზია, პურის საცხობი, კულტურის სახლი.

გემოვნებით მორთულ სტენდებზე მოწოდებებია: „დიდება შრომას, მშრომელ კაცს!“ „სოციალისტური შეჯიბრება წარმატების საწინდარია“.

მართლაც რომ შეეფერებათ ეს მოწოდება მამათელ მშრომელებს. ხალისითა და იუმორით სავსე; სტუმართმოყვარე, სიმართლისმოყვარე ხალხს!

მამათში ცხოვრობს მოწინავე მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნანული მელივა.

ნანული — ჰაეროვანი, კდემით მოსილი ქალია, რომლის შესახებ გაზეთებიდან ბევრი რამ ვიცი. მან 1980 წელს 9 ტონის ნაცვლად 16 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, გეგმას 7 ტონით გადააჭარბა. ხოლო მეათე ხუთწლედში სახელმწიფოს 59 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა, გეგმიურზე 27 ტონით მეტი.

მალე გემოვნებით ნაგებ ოდა-სახლს მივუახლოვდი. ნანული მელივა ეზოში შემომეგება. სწორედ ასეთ მასპინძელზე იტყვიან: სტუმარს ნეტარების შუქს ჩაუდგამს გულშიო. იგი ლამაზი ავეჯით მორთულ ბინაში შემიძღვა. ყველგან იდეალური სიფაქიზე იგრძნობოდა.

ნანულისთან საუბარში თანდათან ცოცხლდება მისი საინტერესო ბიოგრაფია:

დავიბადე 1949 წელს, სოფელ მამათში. და-ძმანი ხუთნი ვართ: ოთხი და, ერთი ძმა.

მამათის საშუალო სკოლაში 1967 წელს დავასრულე სწავლა. ბავშვობიდანვე ვხედავდი, როგორ შრომობდნენ ჩემი ოჯახის წევრები და მეც ბავშვობიდანვე ვებმებოდი შრომის ფერხულში. კარგადაც ვსწავლობდი, მიყვარდა სიმღერა. ხშირად გამოვდიოდი ოლიმპიადებზე...

სკოლის დასრულების შემდეგ ნანულიმ თავისი ბედი მასავით მშრომელი ოჯახის შვილს რომან ჩიკაშუას დაუკავშირა. დედური სითბოთი შეეგება პატარძალს დედამთილი თამარი. ამაღლდა ჭერი. ოჯახს ორი ბიჭი შეემატა: მურთაზი და მირზა. მათ დაზრდაში დიდი ამაგი მიუძღვის ბებიას — თამარს. გავიდა წლები, ძველ ოჯახს გამოეყვნენ ნანული და რომანი. შეიქმნა ახალი კერა, სითბოთი და სილამაზით სავსე. პირველად 1967 წელს მიიღო ნანულიმ სარეკორდო მოსავალი.

მისი ეს წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენია რაიონსა და რესპუბლიკას. 1971 წელს ნანული „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს. 1974-78 წლებში საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე მიიწვიეს, 1980 წელს შრომის წითელი დროშის ორდენი გადასცეს; იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამავე წელს საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის დელეგატი იყო, ხოლო 1981 წლის თებერვალში — როგორც დელეგატი სკკპ XXVI ყრილობას ესწრებოდა, საიდანაც მდიდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდა.

— გადასაჭრელი საკითხი ბევრია, — ამბობს ნანული, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური

კომიტეტის პირველმა მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სასურსათო პროგრამაზე, რომლის საფუძველიც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობაა.

საამისოდ სოფელ მამათის კოლმეურნეობის ცალკეულ ბრიგადებში შემუშავდა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს ძირითადი საკარმიდამო მეურნეობის გონივრულად გაძღოლას, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდას, შრომითი განაწესის განმტკიცებას.

უნდა გაიზარდოს ჩაის გადამამუშავებელი სიმძლავრეთა რიცხვი. მათი ნაკლებობის გამო მოკრეფილი ჩაის ფოთოლი რამდენიმე დღით გადაუმუშავებელი რჩება. ამიტომაც დიდია დანაკარგი, ეცემა ხარისხი.

ნანული, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩევა. ამასთან იგი არის პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიუროს წევრი, სახალხო მსაჯული, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს წევრი, იხილავს მშრომელთა წინადადებებს, ისმენს მათ სამართლიან მოთხოვნებს, ყოველნაირად ეხმარება მათ.

ახალგაზრდობა ღირსეულად მიჰყვება ნანულის შრომით ბილიკებს. ნანულის ბევრი მიმდევარი ჰყავს. ისინი ზეგეგმით ფოთოლს კრეფენ, ზრუნავენ ჩაის ხარისხისათვის. თუ ნანული დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს, ისინი ცდილობენ დაეწიონ და გაუტოლდნენ. შარშან ნანულიმ 18 ტონა ნედლეული დაამზადა, წლეულს კი გადაწყვეტილი აქვს 19 ტონა დაამზადოს.

„ვინც დასვენება არ იცის, მან არც შრომა იცისო" — ამბობს ნანული და, გარკვეულ დროს ოჯახის წევრებთან ერთად კურორტ ბახმაროში ატარებს. ახალი ენერგიით უბრუნდება პლანტაციებს. ჩაის რომ დააბინავებს, სამოგზაუროდ მიუწევს გული. მაგიდაზე დევს სამახსოვრო სურათები, ერევანში, ახალ ათონში გადაღებული. ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან მამათელი მშრომელები ბორისლაველ ამხანაგებთან ერთად ძმათა სასაფლაოზე, სადაც განისვენებს სამამულო ომში დაღუპული მამათელი მაწია ჩხაიძე... აგერ ბრესტი, აქაც ძმათა სასაფლაოა, სადაც განისვენებს მამათელი ჭაბუკი აკაკი შევარდნაძე. ამ შინმოუსვლელ ჯარისკაცს ლექსი მიუძღვნა სოფელ მამათის სახალხო მთქმელმა — ვერა ბერეჟიანმა:

რომ მოხალისედ წახვედი ჯარში,
იყავ სულ ნორჩი, სათნო ყმაწვილი,
მამულს შესწირე სიცოცხლე შენი,
რომ ჩვენ გვქონოდა ცხოვრება
ტკბილი".

**ი. იაშვილი**



ივნისის პლენუმის საპასუხოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოლადაურის პიონერთა ბანაკში

სულ უფრო იზრდება პასუხისმგებლობის ის დიდი გრძნობა, რომელმაც მოიცვა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ივნისის პლენუმის შემდეგ.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა ფაბრიკებსა და ქარხნებში. გონიერ და კუნთმაგარ მუშათა შორის, რომლებიც ჩარხებთან და დაზგებთან ქმნიან ხალხისათვის საჭირო პროდუქციას. შრომის პათოსს აძლიერებს ის დიდი ზრუნვა, რომელიც მათი ოჯახების და მათი შვილების წილად მოდის. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტს, რომელსაც სათავეში უდგას ნინო ლაკია, გეგმების შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მთავარ საშუალებად მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მიაჩნიათ.

ზაფხულია, ცხელა... ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" მუშათა შვილები ბოლნისის რაიონის თვალწარმტაც კუთხეში ფოლადაურში ისვენებენ. იქვე არიან თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშათა შვილები. მათთვის სამ ნაკადად გაიხსნა პიონერთა ბანაკი. აგვისტოს მეორე ნახევარში, როცა დაფდაფების ხმა მიწყდება და მესამე ნაკადის დამსვენებლები დაემშვიდ-

# პიონერული საყვირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობებიან საყვარელ ხეობას, თვით ფაბრიკების მშრომელები ამოვლენ უფრო მცირეწლოვანი ბავშვებით, მეუღლეებით, მშობლებით. ოჯახური დასვენების იდილიას ყველა ესწრაფვის.

ასეა შავი ზღვის სანაპიროზე, მიუსერაშიც. ხალისიანად დაისვენეს დასავლეთ საქართველოს საწარმოთა მუშების შვილებმა აქაურ პიონერთა ბანაკში, მერე კი ოჯახები ამოვიდნენ ზღვის და მზის ახლოს, ჯანის გასაკაჟებლად.

საგზური ძალზე ხელმისაწვდომია —პიონერების 21-დღიან საგზურში მშობლები რვა მანეთსა და ორმოც კაპიკს იხდიან.

ოჯახური დასვენების კარგი პირობები შეუქმნა ფეიქრებს პროფკავშირის კომიტეტმა კურორტ კიკეთში. შეკეთებულია მაუდ-კამვოლის კომბინატის ყოფილი დასასვენებელი ბინები, ისინი აღჭურვილია ყველანაირი საჭირო მოწყობილობით.

პატივცემულ ნინო ლაკიას კარგი ჩანაფიქრი აქვს: დასვენებული ოჯახები შინ რომ დაბრუნდებიან, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც „მცოცავი გრაფიკით“ მუშაობენ, ორ-ორი დღით ყოველთვის შეეძლებათ ამ ტყიან პეიზაჟს ეწვიონ და დახარჯული ენერგია აღიდგინონ.

წლეულს ივლისში პირველად ახმაურდა პიონერული საყვირი ცხვარიჭამიის ტყის პირას. აქ ფეიქართა შვილები ამოვიდნენ და გონივრულ დასვენებას შეუდგნენ. კეთილი იყოს წითელყელსახვევიანთა ახალმოსახლეობა! თეთრეულის ტრიკოტაჟის გაერთიანების მუშები კმაყოფილნი დგანან სამუშაოებზე, როცა თავიანთი შვილები კარგად მოვლილები ეგულებათ.

გორის ბამბეულის კომბინატის მუშათა შვილები ჯავის პიონერულ ბანაკში არიან; სექტემბერში აქ მოზრდილები ამოვლენ და ჯავის სანატორიუმის მედპერსონალის ხელშეწყობით კუჭ-ნაწლავს იმკურნალებენ.

საკმაო ტრადიციები აქვს თბილისელ ფეიქართა შვილებისათვის წყნეთში გახსნილ პიონერთა ბანაკს.

ახალდაბაში თბილისის ბამბის სართავი ფაბრიკის მუშათა შვილებისათვის ყველა პირობაა შექმნილი სხეულის გასაკაჟებლად...

მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობისა იქნება საჩხერის ბამბის ფაბრიკა, როცა მისი მშენებლობა დასრულდება. ნინო ლაკია ფაბრიკის მუშებისათვის პროფილაქტორიუმის აშენების თადარიგს იჭერს. ცხაკაიის ხალიჩების ფაბრიკის მუშათა პროფილაქტორიუმს შეკეთება სჭირდება და დღევანდელ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. ნინო ლაკიას ეს საკითხი ერთ-ერთ მთავარ მოსაგვარებელ პრობლემად გაუხდია და თავის ენთუზიაზმთან ერთად ცხაკაიის რაიონის ხელმძღვანელობის იმედიც აქვს.

გეგმები და ძიებები არ ილევა, როცა საქმე გულით გიყვარს და მუშისა და მისი ოჯახის დაფასება და აღიარება გწადია.

ლ. ნინიძე

# უნგრელი პოეტი ქალები

**ჟუჟა რაბი**

### ცალი ხელით

ცალი ხელით
გულში მიკრავ,
მეორეთი, მაჭდობ ისარს,
ნაფოტ-ნაფოტ მანაფოტებ
და ფრთებს ატან
ქარაშოტებს.

მაფხვიერებ,
ცდილობ ფესვმა,
წყაროს წყალი
ხარბად შესვას.

ტოტებს მამტვრევ
კონა-კონა,
გულში ვნებით ჩასაკონად.

ხე ვიყავი მარტოსული,
ლამაზ ალვად ამოსული,
ქარში ვქროდი
დაუღლელად,
ლამაზი და ცალუღელა.

თუმცა დავრჩი
ქარაშოტში,
ქარი ვერ მხრის
ტანაშოლტილს.

ბევრჯერ დასცდა
ბაგეს ურვა,
გული კი ვერ დაგემდურა.

რადგან ბევრი
ტურფა ნატრობს
იყო მისი
მნე და სატრფო.

## სხივის ჯავშანი

სხივებისგან შექჭედე
სიყვარულის ჯავშანი,
დარდმა ჯვარზე გამაკრა,
ცრემლი ვღვარე, შავშავი,

მაგრამ ის ვინც ჩემს გულში
მზის სხივებით იბუდებს,
ერთ დღეს ნავა, ადგება
მიმატოვებს ბინდბუნდზე,

მელირსება ის დილა
ან მივაღწევ
იმ დრომდე!
ან კი ჩემი სიკვდილი

მე რად უნდა მინდოდეს.
სიყვარულის წყალობით,
ცრემლი ვღვარე შავშავი,
შემომეჭდო სხეულზე
შუქ-სხივების ჯავშანი.
ჩქარა დამეხუჭება
ნამწამების ტევრები,
აღარ შემოგეჭდობი

ცხელი ხელის მტევნებით.
მაგრამ რადგან სხივები
შუქს სახეში მახლიან,
ვიცი შემწევს უნარი
გავიკვირტო ახლიდან.
სიკვდილამდე ვატარებ
ოქრომკედის სამოსელს,
ისევ გავიფოთლები
ოღონდ ვინმე გამიჩნდეს,
ვიტყვი ჩემი სინათლით
რაც აქამდე, ვერა ვთქვი,
რადგან ვინც გინდ ეცადოს
სხივს ვერ მოკლავს ვერაფრით!

ანა კიში

## ბალახები

პიტნა, ყოფილა თურმე თავდავიწყების
წამალი.
უეცარ: სიყვარულის მალამოა
თეთრი ალტარ: ზედ მისწრებაა
ჩჩვილი ბავშვებისათვის.

ჩარანი: დიდიხნის ჭრილობებს აშუშებს.
მრავალძარღვა: ახალი ჭრილობის
მკურნალია,
სალბი: ყოველგვარ ტკივილს შველის.
შალფეი: ავი თვალისაგან დაგიფარავს.

ძირმწარა: ხალისიანს გაგხდის.
უნგრელმა ქალებმა: ერჟებეტებმა
ჟუჟუანებმა და შარებმა, წინაც და
ახლაც, იცოდნენ ბალახების ცნობა.

## მგლები

როცა მგლებს,
ამ ქვეყნად
სულ მუდამ აღრენილთ,
გულს შემოაწვებათ
უკუნი ნაღველი,
ცდილობენ გააქრონ
კაეშნის ჭავლები,
უმტკივნეულო და
უეკლო ბრჭყალებით.

ძალიან ფრთხილად და
უნაზეს კბილებით
თოვლში დაათრევენ
საფენებს ჩჩვილების.
ეს მაშინ, როდესაც
მორჩილს და აღრენილთ
გულს შემოაწვებათ
ცოტახნით ნაღველი!

ანა ბედე

## ანგელოზი

მე უკვე მივდიოდი
იმ ქვეყნად,
შეშლილი თავგადასავლებით.
მეგონა
ლამაზი სიცოცხლე,
დასრულდა,
გათავდა წვალებით.

მე წამებს ვითვლიდი,
როდესაც,
ხმა ანგელოზისა
მომესმა,
ისეთი, ზღაპრებში
რომ არის,
მწუხარე
და ჰაეროვანი.

მოდგა ჩემს კარებთან
ანაზდად,
სიცოცხლე
კვლავ გამილამაზა
და ვნატრობ
კვლავ დამინანაოს
ფრთების უნაზესი მარაო!

# გმომთავარე წიმნი

ახოვანებმა,
ჯანიანებმა
უქმად ხეტიალს,
თავი ანებეთ.

მთასა და ბარში
დანანწალებდით
პურს შოულობდით
გარჯა-წვალებით.

ხელის გულებზე
ამოკვეთილი,
გქონდათ სიტყვები
„იყავ კეთილი“.

ცხოვრობდით მუდამ
ტევრში, შამბნარში,
დათვებთან შებმის
გქონდათ საბაბი.

სურნელი ჰქონდა
მინდორს საკმევლის
და სალამურზე
ხტოდნენ ბატკნები.

ხან ქარაშოტი
ელვის შოლტებით,
მინაზე ყრიდა
ნაყოფს მოთეთქვილს,

სპობდა ისედაც
მცირე ნათესებს,
არ გიტოვებდათ
მარცვალს სათესლედ.

მკვდრეთით აღდგომა
მაინც შესძელით
და მიხარია
რომ ხართ დღეგრძელი,

რომ არ დატოვეთ
მიწის ნაკვეთი,
ვიწრო ბილიკი
და ბარსაკვეთი!

თარგმნა მედეა კახიძემ

# ვულოცავთ!



## ანა აღლაძე — 80

წლეულს დაბადების 80 წელი შეუსრულდა მხცოვან მწერალსა და დრამატურგს ანა აღლაძეს.

აგერ, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც იგი გულმხურვალედ ემსახურება მშობლიურ ლიტერატურას. მისი ოცზე მეტი პიესა დაიდგა ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენებზე, მათ შორის შ. რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრებშიც.

პიესებიდან, რომლებიც ა. აღლაძის კალამს ეკუთვნის, აღსანიშნავია „შავთვალა გოგონა“, „მღელვარე დღეები“, „წარსულის ფურცლები“, „გულნარა“, „სიკვდილზე ძლიერი“, „გმირის დაბადება“ და სხვა, ხოლო მოზარდ მაყურებელთა თეატრში — „ბროლის სასახლე“, „პატარა მოთხილამურეები“, „შორს ოკეანის გადაღმა“, „ნათელი დღე“.

ანა აღლაძე ამავე დროს არის საბავშვო ლექსების კრებულების („თენგიზის სიტყვა“, „დაუპატიჟებელი სტუმარი“, „პიონერთა ბანაკის“) ავტორი, ხოლო მისი მოთხრობები, ფელეტონები, ნარკვევები იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

მწერალი ქალი აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## მარი აბრამიშვილი — 60



ქართულ პრესაში წლეულს სიყვარულით აღინიშნა ნიჭიერი პოეტი ქალის მარი აბრამიშვილის დაბადების მე-60 წლისთავი.

აგერ 30 წელზე მეტია, რაც მარი აბრამიშვილის მშვენიერი ლექსები ხშირად ქვეყნდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ისტამბება ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა მისი ლექსთა კრებულები: „წამიერი გაზაფხული“, „ციცინათელა“, „საკუთარ თავთან“, „ლირიკა“, დღეს იგი ათზე მეტი კრებულის ავტორია.

პოეტმა ქალმა პატარა მკითხველიც გაახარა საბავშვო ლექსთა კრებულებით — „ტრაბახა თაგვით“ და „ნაცნობი მერცხლებით“.

მარი აბრამიშვილი ნაყოფიერად მუშაობს მთარგმნელობით დარგშიც. მის კალამს ეკუთვნის სერგეი ესენინის, ბელა ახმადულინას, ევგენი ევტუშენკოს ლექსებისა და ოსური პოეზიის ნიმუშების თარგმანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეშახტის ოჯახი



დ. იაკობაშვილის ფოტო

## მამა

პირველად ამ ოჯახზე, უფრო სწორად, მის თავკაცზე, №8 შახტის პროფკავშირთა კომიტეტში მელაპარაკნენ.

ბრწყინვალე კაცია მუშკი მანარგია, — მითხრა პროფკომის თავმჯდომარემ ვ. გოგუამ, — კარგად მუშაობს. კომუნისტური შრომის დამკვრელია. ამჟამად ის ჟორჟოლიანის ბრიგადაშია, შარშან სსრკ მე-60 წლისთავის საიუბილეოდ გაშლილ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ყოველ დღიურად 105-111 პროცენტით ანაღდებს სახელმწიფო გეგმებს, გეგმების შესრულებაში მას გვერდში უდგანან რეზო ლოგუა, მიშა ლანია, სერგო სპარდია, სერგო კლუკინი, ალიოშა ბოჩავა — სერიოზული ხალხი, შემსრულებელნი, დისციპლინას რომ არასოდეს არ არღვევენ, მოკლედ, — მოწინავენი.

ამგვარი დახასიათების შემდეგ სურვილი ალმეძრა, მუშკი ახლოს გამეცნო. ცვლა დამთავრდა, გამოჩნდა მანარგია. სახე ქვანახშირით მოსვროდა, მხიარულად უბრწყინავდა თვალები.

— ახალი სამუშაო ფრონტი მოვუმზადეთ ამომღებლებს, ამიტომ შევჩერდი. — გვითხრა მან.

დღემდე ახსოვს მუშკის მამის დარიგება: „შვილო, რა საქმეც უნდა აკეთო, გახსოვდეს, კარგად უნდა იმუშაო! შენი შრომით ხალხი კმაყოფილი უნდა იყოს“.

ამ დარიგებით მივიდა ის ტყვარჩელში ქვანახშირის მოსაპოვებლად.

მეშახტის შრომა მძიმეა, მაგრამ მიმზიდველი. სამხედრო სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ მოიხადა, ისევ მაღაროს დაუბრუნდა. აგერ უკვე ოცი წელია მოაქვს ხალხისათვის სიხარული, სითბო და სინათლე. ბრიგადირი ემადლიერება მუშკის: ჩვენ პირველებს გვიხდება მძიმე სამუშაოს შესრულება. ხანდახან სიძნელეებსაც ვხვდებით, რასაც დიდი ნებისყოფით, ამტანობით ვძლევთ. მანარგიას ეს თვისებები საჭიროზე მეტი აქვს, ამიტომ ის პირველობას არავის უთმობს.

## დედა

ისინი ერთმანეთს 1966 წელს შეხვდნენ. ნელი დეიდასთან ჩამოვიდა სტუმრად.

იმ წელსვე დაქორწინდნენ. ერთოთახიანი ბინა მისცეს. ნელიმ პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და მზარეულად დაიწყო მუშაობა იმავე მაღაროს სასადილოში, სადაც მეუღლე მუშაობდა. ახლა ნელი უფროსი მზარეულია. ხალხი კმაყოფილი ჰყავს გემრიელი კერძებით.



სასადილოს გამგე მარია ორლოვა იგონებს, როგორ მუშაობდა ომის დროს მიწის ქვეშ, რა მძიმეა მეშახტის შრომა და ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუშათა ნოყიერ კვებას. კაცი გემრიელად რომ დანაყრდება და ჩვენგან კმაყოფილი წავა, ეს არის მთავარიო, ამბობს მარია.

ყველა მადლიერი ჰყავს უფროს მზარეულს ნელი მანარგიას. კერძები მადალხარისხოვანია, ყუათიანია, კალორიულია, თითებს რომ ჩაიკვნეტ, სწორედ ისეთია.

## ბავშვები

ზაფხულია. მუშკისა და ნელის შვილები ახლო აგარაკზე ისვენებენ. მუშკის მწვანე „ნივა“ გზის ბოლო მონაკვეთს ათავებს და ჭიშკართან ჩერდება. ეზოდან პატარა გოგონა გამორბის.

— ეს ჩემი ელვირაა, მეექვსე კლასში გადავიდა. მხიარულია და კეთილი, უყვარს ცხოველები, ყვავილები. კარგად უკრავს აკორდეონს.

ანჟელა შუათანაა, რვა კლასი დაამთავრა. დედას გავს: ალაგებს, ასუფთავებს, კერძებს ამზადებს.

ედიკი ყველაზე უფროსია. ბოსტანს უვლის, სიმინდს თოხნის. დინჯი ბიჭია. მეათე კლასშია და კარგად სწავლობს.

...ჩვენ დიდხანს ვათვალიერებდით მანარგიას აგარაკს. სანახავი ბევრი იყო: ბოსტანში ბლომად კიტრი და პამიდორი, ბაღში — ყველანაირი ხილი. მოშორებით სკები მოჩანდა. ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა.

პაატა შენგელია,
გაზეთ „ტყვარჩელული „მეშახტის“ რედაქტორი.



შრომის გაკვეთილი



გასეირნება ქალაქგარეთ



ნაკვეთში

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# „გმადლობთ, ნელი!“



სალამოზე ნელი სალაძეს უნდა შევხვდე. მისი ნახვა ძნელი არ არის: დილიდან სპორტის სასახლეშია; სალამოს — ისევ სპორტის სასახლეში. ასეთია მწვრთნელის ხვედრი. მთელი თავისი დრო მოწაფეებთან უნდა გაატაროს, გაიზიაროს მათი წარმატება და მარცხი, სიხარული თუ სინანული. ნელის გრაფიკი მხოლოდ ერთ შემთხვევაში იცვლება: თუკი სადმე შეჯიბრებაზე მიემგზავრება. ერთი სიტყვით — მხატვრული ტანვარჯიში დილას და სალამოს! მთლიანად ამ საქმით არის „შთანთქმული“. კაცმა რომ თქვას, ღირს კი!

არის სპორტის სახეობები, რომელთაც გარკვეული შერჩევა, შეგუება სჭირდება. ეს მხატვრულ ტანვარჯიშზე არ ითქმის — ერთხელ ნახავ და შეგიყვარდება. მაშინ ყოველთვის გამონახავ დროს, მარტო შეჯიბრებას კი არა, ვარჯიშსაც დაესწრო. ამისათვის საჭიროა „სულ ცოტა რამ“ — სილამაზის გრძნობა. ასეთი გრძნობა ქართველებს ყოველთვის ჰქონდათ — ამით უნდა აიხსნას ჩვენში მხატვრული ტანვარჯიშის პოპულარობა.

მწვრთნელი! ზოგჯერ იგი იღბლიანია, ზოგჯერ უიღბლო. მაგრამ არ არსებობს მწვრთნელი, მთელი თავისი არსებით რომ არ განიცდიდეს მოწაფეების წარმატებას თუ წარუმატებლობას, მათთან ერთად არ ეუფლებოდეს სევდა და სიხარული. მართალია, იგი ზოგჯერ დაუფასებელი რჩება, მაშინაც კი, როცა ამას არ იმსახურებს — ყველაფერს მოსწავლეებსა და მათ ტალანტს მიაწერენ. რატომღაც ივიწყებენ იმ წლებს, რომლებიც მწვრთნელმა უანგაროდ შესწირა მათ დაოსტატებას. ასეც ხდება — გაქვს წარმატება, დიდ პატივს გცემენ, მოვიდა პირველი მარცხი, შენს დამსახურებას ქარს ატანენ. 1958 წელს ბრაზილიაში არ იყო ვინსენტე ფეოლაზე უფრო პოპულარული პიროვნება — მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ფეხბურთში. 1966 წელს ლონდონის აეროპორტში იხილეს საოცრად გასაცოდავებული, გაჭაღარავებული ფეოლა, რომელიც ბრაზილიაში დაბრუნებას არ ჩქარობდა — მისმა გუნდმა მარცხი იწვნია. „წავალ იტალიაში, წინაპართა საფლავებს მოვინახულებ“ (ფეოლა წარმოშობით იტალიელი იყო). მწვრთნელი თვლიდა, რომ ამასობაში ქარიშხალი გადაივლიდა...

მწვრთნელი ყველაფერს წირავს მოსწავლეს, მას არავის დაახაგვრინებს! მე მახსოვს ვახტანგ ქარსელაძე, თავისთვის არაფერი უნდოდა, არაფერს ეძიებდა, მაგრამ აბა ვინმეს ხმა ამოეღო მის აღსაზრდელებზე! გამოჩენილ მწვრთნელს ფარიკაობაში ვიტალი არკადიევს მეტისმეტად უყვარს თავისი ტყუპისცალი ძმა ბორისი (გამოჩენილი მწვრთნელი ფეხბურთში). ახლა, როცა ძმებმა 80 წელს გადააბიჯეს, დიღაობით ხუმრობით ეუბნებიან ერთმანეთს: „შენ რა, კიდევ ცოცხალი ხარ?“. და აი ტყუპმა ძმებმა მხოლოდ ერთხელ იჩხუბეს ერთმანეთთან — ვიტალი აღტაცებული იყო ერთი თავისი მოსწავლით, ბორისი კი (მაშინ ისიც ფარიკაობის მწვრთნელი გახლდათ) კრიტიკულად განეწყო.

სანამ ნელი სალაძესთან დავიწყებ ლაპარაკს, სულ სხვადასხვა ყაიდის მწვრთნელებზე ვფიქრობ. და თითქოს რაღაც ტელეპატიური გადაცემა მოხდაო, ნელის პირველი სიტყვები ასეთია:

— ხანდაზმულ, სანდომიან ქალს ხედავთ?

— დიახ.

— ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში — თამარ მიხეილის ასული ვიხოდცევა. მისგან დიდად ვარ დავალებული, და განა მარტო მე. თამარმა აღზარდა ლილი გვარამაძე, თენგიზ სანაძე, ლილიანა მითაიშვილი. რაც შეეხება მის ერთ-ერთ უკანასკნელ მოსწავლეს, იგი ხომ ყველას გვეამაყება — ნინო ანანიაშვილი. ახლა თამარ მიხეილის ასული ჩემთან მუშაობს: ძალიან მეხმარება და... ჩემს ახალგაზრდობასაც მახსენებს.

ჩვენი საუბარი ხშირად ირღვევა. ვარჯიშობენ ნელის მოსწავლეები. ხან სხვა მწვრთნელები მოირბენენ ხოლმე რაღაცის საკითხავად, ხან რაღაც აინტერესებს აკომპანიატორს. ირგვლივ ბავშვები ირევიან.

ბავშვი აქ 50-ზე მეტია. ორმოცდაათი განსხვავებული ბუნების ადამიანი. ყველას ინდივიდუალურად უნდა შეურჩიო ვარჯიში, თუმცა ერთი კი არა, ექვსიშვიდი: უნდა გაითვალისწინო მათი ბუნებრივი მონაცემები: ფიზიოლოგიური და ანატომიური.

— ისე რომ, თქვენ შემთხვევით როდი სწავლობდით ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

— ზოგი მეკითხებოდა, რაში გამოგადგებაო, მაგრამ, როგორც ხედავთ, გამომადგა. შემდეგ მე თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტიც დავამთავრე, მაგრამ მაშინვე გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე მაინც მწვრთნელობაა.

— როდის გადანყვიტეთ?

1970 წელს, როცა გამოცდები დავამთავრე. 1971 წელს მწვრთნელობა დავიწყე, მაგრამ ძალიან მიჭირდა. კარგა ხანს არც ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

— შემდეგ თანდათანობით გაერკვიეთ, არა?

— ეს გარკვევა არ იყო, მას უფრო გაავება შეიძლება ვუწოდოთ.

— გაავება?!

— დიახ, არ გაგეცინოთ. 1974 წელს, მინსკში, საკავშირო გუნდურ პირველობას ვესწრებოდი მხატვრულ ტანვარჯიშში. არავითარი ფუნქცია არ მეკისრებოდა, ასე ვთქვათ, კერძო პიროვნება ვიყავი. რა დასამალია, საქართველოს გუნდი მეტისმეტად სუსტი იყო. დარბაზში რომ ვიჯექი და ვარჯიშს თვალს ვადევნებდი, ვილაცამ (შეიძლება ჩემს გასაგონადაც) თქვა, ესენი აქ რა გამოსაყვანნი იყვნენო... და, ის ვილაცა მართალი იყო: ჩვენები მეთოთხმეტე ადგილზე გამოვიდნენ — რატომ? — ჩვენ ვიყავით დამნაშავე, ნიჭიერ ბავშვებს არ ვეძებდით, ცუდად ვმუშაობდით. როგორ დავიჯეროთ, რომ საქართველოში ასე ერთბაშად გაქრნენ ტალანტები. ის საღამო რომ მახსენდება, დღესაც სირცხვილით ვიწვი. სამუდამოდ ჭკუა მასწავლეს. ჰაჯი მურატი ახალგაზრდობაში ერთხელ ბრძოლის ველიდან გაიქცა და შემდეგ ამას რომ იგონებდა...

— მე ბრძოლის ველიდან არ გავქცეულვარ, მაგრამ, ჯიმეორებ, არაფერი დამვიწყნია. 1976 წელს, როცა უკვე რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვიყავი, საკავშირო გუნდური პირველობა თბილისში გაიმართა. ამჯერად მეექვსე ადგილზე გამოვედით. დიდი არაფერი? — შეიძლება, მაგრამ გთხოვთ, ეს შედეგი წინას შეადაროთ. 1978 წელს ოდესაში უკვე მეხუთენი ვიყავით, 1980 წელს კიევში — მესამე საპრიზო ადგილი დავიკავეთ. საინტერესოა, რომ კიევის სპორტის სასახლეში ჩვენი გამოსვლა ღამის თორმეტის ნახევარზე იყო დანიშნული (ასე გვერგო წილისყრის თანახმად). ერთმა ჟურნალისტმა მითხრა: „ამ დროს თითქმის ყველას ეძინება, მაგრამ თქვენი კარგი ვარჯიში აფხიზლებთ".

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ეტყობა, 1979 წელი სულ სხვა იყო, არა?

— 1979 წელმა იმდენი სიხარული მომიტანა, ჩემზე ბედნიერი ადამიანი თუ სადმე იყო, არ მეგონა. მსოფლიოს პირველობა ლონდონში. საბჭოთა კავშირის გუნდის მწვრთნელები ვიყავით მე და ვიქტორ სერგეევი. რა ვარსკვლავები გვყავდა: ირინა დერიუგინა, ლენა ტომასი, ირინე გაბაშვილი!

საინტერესო შემთხვევა მოხდა თვითმფრინავში. გაბაშვილს რაღაცა ვუთხარი ქართულად. ეს იყო და ქართველი გამოგვეხმაურა, რომელიც თურმე ლონდონში სიმპოზიუმზე მიემგზავრებოდა. ისე გაგვამხნევა, როგორც მხოლოდ ჩვენებს შეუძლიათ. ხშირად მოგვისმენია საუბარი სპორტულ თილისმებზე: ჰოდა, ის კაცი ლონდონში ჩვენთვის ნამდვილი თილისმა გამოდგა, თუმცა შეჯიბრებებზე ველარ მოვკარით თვალი, ისე ვიყავით საქმეში ჩართული. ლონდონზეც ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, დილიდან საღამომდე „უემბლის" სპორტის სასახლეში ვიყავით. ძნელი სათქმელი იყო, ჩვენ უფრო განვიცდიდით თუ ელინა ბისტრიცკაია — მხატვრული ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე. და თუ ქალაქზე მაინცდამაინც ვერაფერს გეტყვით, ინგლისელი გულშემატკივარი ძალიან დამამახსოვრდა; იგი მეტად ტემპერამენტიანია (ამას ვინ მოელოდა!) და ემოციური. მსაჯს ხშირად არ ეთანხმება (ამ შემთხვევაში დარბაზი 15-20 წუთის განმავლობაში გუგუნებს), ერთი სიტყვით, ისე იქცევა, როგორც ფეხბურთზე. ვინც რა უნდა თქვას და, მე ვფიქრობ, რომ მხატვრულ ტანვარჯიშს ასეთი გულშემატკივარი თავისებურ ეშხს მატებს, უხდება.

შინ ბედნიერები ვბრუნდებოდით. ირინე გაბაშვილი ხომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ბურთით ვარჯიშში, ლალი დოლიძე — მსოფლიოს ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში. და, აი, რა მოხდა! თვითმფრინავში ისევ ის ქართველი შეგვხვდა, „თილისმად" რომ მივიჩნიეთ. ისეთი აღელვებულნი ვიყავით, გვარიც კი არ ვკითხეთ. ისე კი, ლია ბარათები მოიტანა და ავტოგრაფები გვთხოვა. ახლა, ჟურნალში რომ ამ წერილს წაიკითხავს, ვთხოვთ გამოგვეხმაუროს — ვფიქრობ, ჩვენს წარმატებებში მასაც მიუძღვის წილი.

ლონდონს ორ კვირაში სპარტაკიადა მოჰყვა, სადაც პირდაპირ ფრთაშესხმულები გამოვდიოდით. ვის ახსოვს 10 მედალი ერთ შეჯიბრებაზე — ისინი ირინე გაბაშვილმა მოიპოვა!

1979 წელი! დავდიოდი თბილისში, ნაცნობი და უცნობი მაჩერებდა: „გმადლობთ, ნელი!" მე კი ასეთი დაფასება ათას მედალს მირჩევნია.

ჩვენი წარმატება შემთხვევითი არა ყოფილა, ამიტომ იგი უნდა გამეორდეს. სილამაზე და გრაციოზულობა ქართველ ქალს ბუნებაში აქვს, ამას იგი ხელოვნებასა თუ სპორტის სხვადასხვა სახეობებთან ერთად მხატვრულ ტანვარჯიშშიც გამოხატავს.

— გმადლობთ, ნელი!

სპორტის სასახლე ცარიელდება. გოგონები, რომლებიც ასე თავდავიწყებით ვარჯიშობდნენ, შინისაკენ მიიჩქარიან. რა გვარები არიან ისინი? — გავიგებთ, უახლოეს შეჯიბრებებში აუცილებლად გავიგებთ!

ბივი გამრეკელი

## იუმორი

ანდრეი სკაილისი

# გადაჭარბებული ლაპარაკი

ბიბლიოთეკა

ბავშვების აღზრდა ადვილი საქმე არ არის, მშობლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მათი თანდასწრებით არც ჩხუბი შეიძლება, არც კამათი.

ეს ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, რადგანაც ოჯახურ ცხოვრებაში ზოგჯერ გამოუვალი სიტუაციებია, ხშირად ძალის გამოყენებაც არის საჭირო, მაგრამ ჭკვიანი მშობლები პოულობენ ხსნის გზას. ერთნი, მაგალითად, ბავშვებს ოთახიდან გასვლას უბრძანებენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ დავას. ეს ცუდი მეთოდი არ არის, ოღონდ სარისკოა, რადგანაც პატარებს ძალზე ცუდი ჩვევა აქვთ — კარებთან მიყურადება...

მე და ჩემი ცოლი სხვაგვარად ვიქცევით. როცა მწარე სიტყვის თქმაა საჭირო, გადაკვრით ვიწყებთ ლაპარაკს, ბავშვები თვალებს აფახულებენ და ვერაფერს ხვდებიან.

მაგრამ ზოგჯერ, როცა სამუშაოდან ვბრუნდები, გზაზე ქალები სალანძღავი სიტყვების კორიანტელს დაახვავებენ ხოლმე. ჩემი ცოლი კი ასე არ იქცევა, თავისთვის რაღაცას წაისისინებს და მერე მომხიბლავი ტონით ამბობს:

— გუშინ საღამოს ერთი საიდანღაც გამომტყვრალი რქიანი საქონელი ოთხით მოეთრა სახლში. ურჩევნია დაიხსომოს, რომ თუ ამ სისულელეს თავიდან არ გამოიფერთხავს, გზისპირა თხრილში მოუხდება დაძინება. ჩემს სახლში ამას აღარ მოვითმენ.

— რომელი რქიანი საქონელი? — ეკითხება ჩემი ვაჟი.

— აბა საიდან უნდა ვიცოდე, ჩემო ბიჭუნა, — უპასუხებს მეუღლე, — განა ადამიანს ყველა რქიანი საქონლის ცნობა შეუძლია?

მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ჩემი ქალბატონი უკან გამეგზავნ-გამომეგზავნა, მაგრამ ბავშვებთან ხომ არ დავიწყებდი ლანძღვას?! ამიტომ მეც გადაკვრით გადავუხადე სამაგიერო.

— ერთ კუდიანს ჩემი მოთმინებიდან გამოყვანა სურს!

— რომელ კუდიანს? — დაინტერესდა ჩემი გოგონა.

— ერთი უცხო, უცნობი ბებერია, — მშვიდად ვუპასუხე მე — დღითიდღე

უფრო აუტანელი ხდება, ნერვების მომშლელი...

და აი, ერთ დღეს ჩემმა მეუღლემ ძვირფასი ქუდი დაუკითხავად იყიდა. მას ჩემი აზრი უნაზესი გრძნობით გავუზიარე:

—თხას თუ ჰგონია, რომ ფულის ფანჯრიდან პნევა ასე თავისუფლად შეუძლია, იცოდეს ძალიან შემცდარა...

ცოლიც ასევე სათუთად მიპასუხებს:

— ამ ქვეყნად ერთი ისეთი ძუნწი ეშმაკია, ყოველ მანეთს დაჰკანკალებს. მას თუ ეს სიამოვნებას ანიჭებს, დაე ეფოფინოს ფულებს, მაგრამ იცოდეს, რომ მისი სიძუნწით ვერ გამოვიცვლები, ისეთი ჟავრჩები, როგორიც ღმერთმა შემქმნა.

რა თქმა უნდა, ბავშვებს თხისა და ეშმაკის ვინაობა ძალიან აინტერესებთ.

გადაკვრით ლაპარაკში ისე გავიწაფეთ, რომ ბავშვების თანდასწრებით დელიკატურ საკითხებზე საუბარსაც ვახერხებთ.

ერთხელ ცოლს ასე მივეხმატკბილე:

— გუშინ სტუმრად რომ ვიყავით, პაგიანი თვალს არ აცილებდა შემნვარ ბატს, მე ის გავაფრთხილე, ასე ალარაფერს მიაშტერდე, თორემ მაგრად მოგხვდება მაგ ჭარხალივით თავში-მეთქი.

— ჰა, ჰა, — გაიცინა ცოლმა. — კატამ სარკეში ჩაიხედა და თავი ვეფხვი ეგონაო. ისეთი ვეფხვი, რომლისაც არავის ეშინია.

ადამიანები, რომლებიც მუდამ გადაკვრით ლაპარაკობენ, დროთა განმავლობაში საყვარელ გამოთქმებსაც ეჩვევიან. მაგალითად, საოჯახო დისკუსიებში ხშირად ვახსენებთ სხვადასხვა თევზებს, კუდიანებს, თხებს, საფრთხობელებს, ზღვის კატებს. ჩემი ცოლი კი ვამპირზე, გარეულ ღორზე, იდიოტზე და ურჩხულებზე ლაპარაკობს.

თითქმის ორი წელი გადაკვრით ვლაპარაკობდით, მესამე წელს შემთხვევით გავიგონე, ჩემმა ქალიშვილმა უთხრა თავის ძმას:

— მალე გველი მალაზიაში წასრიალდება და ჩვენ მარმელადის ანაპნევას შევძლებთ.

— ვირი რომ სახლში რჩება? — სათნოდ უპასუხა ჩემმა ვაჟმა, — რომ დაგვინახოს, მაგრად მოგვხვდება.

ორივე ბრიყვს ულაპარაკოდ დავუგრძელე ყურები და ჩავეკითხე:

— აბა თქვით, თქვე საქონლებო, ვის გულისხმობთ გველსა და ვირში?

— არ ვიცი. — უცოდველი სახით მიპასუხა ჩემმა ქალიშვილმა, ვიღაცა გველია, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ.

— ვირიც! — აყბედდა ჩემი ვაჟიშვილი, — განა ადამიანს შეუძლია ყველა ვირის ცნობა?!.

**„გველის“ გამო მე ძალიან არ გავლიზიანებულვარ, მაგრამ „ვირი“ მაგრად მომხვდა გულში.**

გერმანულიდან თარგმნა

გურამ გურდილაძემ



# ნუ დამტოვებ, ოცნებაო ჩემო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ დამშორდე სიჭაბუკევ,
არ დამშვიდდე, სიცოცხლეო ჩემო.

სიცოცხლის ბოლო წლებში უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს სიმონ ჩიქოვანს... იგი დაბრმავდა... და ეს მოუვიდა პოეტს, რომელიც საოცარი ფერწერული წარმოსახვებითა და ხილვებით აზროვნებდა...

ერთი მისი მეგობარი პოეტი წერს:

„სალამო ხანს... ერთხელ სიმონმა ოცნებით გახედა შორეთს თავისი მშვენიერი, მაგრამ უკვე უსინათლო თვალებით, და ჩუმად, ოდნავ შესამჩნევი სევდით, თითქოს თავისთვის ხმამაღლა ფიქრობსო, თქვა:

შეხედე, როგორ მეწამულისფრად შეიმოსა მტკვარი, მთებს კი, თითქოს, კიდევ ერთი მიმავალი დღის საზეიმო წითელი ფარდა ჩამოეფარაო.

შემზარავი იყო უსინათლო პოეტის ასეთი ზუსტი შეგრძნება. მის მიერ დახატული სურათი ისეთი ცოცხალი და რეალური იყო, გეგონებოდა, ყოველივე ამას ნათლად ხედავსო“.

მაგრამ არა... ეს იყო მისი შინაგანი სამყაროდან მომდინარე შემონახული ხმა, სადაც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ცოცხლობდა შთაბეჭდილებათა და ფერთა გაუხუნარი სიხასხასე.

და ეს ყოველივე ასე ცოცხლად მან შეინარჩუნა იმ ერთადერთი, ყოვლის განმწმენდელი და ამაღლებული სიყვარულით, რომელიც მუდამ სუფევდა მის სულში... რომელიც მუდამ იყო მის irგვლივ. სიმონის ცხოვრებაში თვით სიცოცხლის ბოლო წლებშიც სუფევდა ჰარმონია... ეს ჰარმონია კი, უპირველეს ყოვლისა, მუდამ მოჰქონდა მასთან მარიკა ჩიქოვანს, — მის უახლოეს მეგობარს, მეუღლეს.

მოგშორდები და მგონია თითქო
მე შენი გული მარჯაფად მახლავს,
ჩემსავით ღელავს, ჩემსავით ფიქრობს,
მხოლოდ ერთ ვარსკვლავს უღიმის მაღლა.
მე ავჩქარდები შინისკენ მაშინ,
თუმცა მე გიძლვენ ლანდი ამგვარი.
არ დამეკარგოს შენი ხმა ქარში,
შინ დარწეული, როგორც აკვანი,
მართლაც მე ფიქრმა აგრე მაცნობა,
რომ ჩემი გული ბუდეა შენი,
შენა ხარ ჩემი ახალგაზრდობა
და მომავალი სიბერის დღენი.

ეს სტრიქონები ადრე, სიჭაბუკის უხვი ფერებისა და უხვი მზიანი დღეების წლებშია დაწერილი. ისე, როგორც უხვი ფერების წლებშია დაწერილი მარიკასადმი მიძღვნილი პოეტის ლექსი და სტრიქონი.

ღატაკი იქნებოდა ადამიანი, რომ მას არ გააჩნდეს დიდი განძი — სიყვარული... რომ არ ჰქონდეს დიდი სიმდიდრე — პოეზია, ლექსი...

პოეტის სამუშაო ოთახში, მაგიდასა თუ კარადის თაროებზე აწყვია წიგნები. ზოგი ყდაგაცრეცილი, ზოგი შედარებით ახალი... ისინი თვით სიმონს ჩაუწყვია, მისთვის სათანადო, სასურველი თანმიმდევრობით... რაღაც საოცარი სევდა გეუფლება, როცა ამ წიგნებს უყურებ: სიყვარული აკავშირებდა პოეტს ამ წიგნებთან და, მეგობრებთან, რომელთა სურათებიც აქვეა, გიჭირს კარადის გახსნა... მათი პატრონი უკვე კარგა ხანია ამ ოთახში აღარ შემოდის. მხოლოდ კედელზე მოჩანს მისი უკანასკნელი დროის სურათი... იგი მაგიდაზე ზედმეტად დახრილი რაღაცას წერს და მუშაობს... მუშაობს...

საოცარი სურათია ეს...

თავისი დისადმი მიწერილ წერილში ერთგან მარიკა ჩიქოვანი წერს: „სიმონი ექიმთან იყო. მოვიდა თუ არა, აღელვებით მითხრა... „მე ისეთი ავადმყოფობა აღმომაჩნდა, რამდენიმე წელი დამრჩა სიცოცხლე... რა ვქნა, რამდენი რამე მაქვს კიდევ სათქმელი, დასაწერიო და იმ წუთშივე მაგიდას მიუჯდა, მუშაობა დაიწყო, თითქოს წუთის დაკარგვაც აღარ უნდოდა. ამან სულ მომკლა. მომავალი ჩემი ცხოვრება იქნება მუდმივი ბრძოლა ამ საშინელი ავადმყოფობის წინააღმდეგ..."

ძნელია ამ წიგნების, ამ სურათების, ამ წერილების ხელის შეხება, მათი წაკითხვა, მათ სამყაროში შესვლა და მაინც... არის ამაში, რაღაც ძალიან მიმზიდველი, ძალიან სათუთი... ამამაღლებელი თვით საკუთარი თავის, საკუთარი არსების წინაშე... ეს წერილები იგივე პოეზიაა, რომელიც ერთგვარად ავსებს სიმონის ლექსების წიგნსაც და ცხოვრების წიგნსაც. ისინი უმეტესად 1962-63 წლებით არის დათარიღებული.

მაინც, საოცარი იყო მათი ხვედრი: სწორედ ამ წლებში მარიკა მძიმე სენით დაავადდა. საჭირო გახდა სერიოზული მკურნალობა. იგი ლენინგრადში წაიყვანეს, სიმონიც ცუდად იყო, მოსკოვში იწვა. ვერ ხედავდნენ ერთმანეთს და წერდნენ წერილებს... წერდნენ თითქმის ყოველ დღე...

„ავადმყოფობა ნაკლებად მადარდებს, მაგრამ თუ მინდა თუნდაც ცოტა ხნით უკეთ ვიყო, იმიტომ რომ, ჩემი სიცოცხლე შენთვის არის საჭირო", — წერდა მარიკა.

„შენი სიცოცხლე იგივე ჩემი სიცოცხლეა," — წერდა სიმონი.

ორივემ კარგად იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო... მაინც არ ჰკარგავდნენ იმედს... იმედის თუნდაც მცირეოდენ სხივს... და მხოლოდ ამ იმედზე წერდნენ ერთმანეთს.

მოდიოდა ახალი წელი... მძაფრად განუცდიათ, უერთმანეთოდ რომ ხვდებოდნენ ამ დღეს...

„სიმონ!...

ოცდაათი წელიწადია, რაც მე და შენ ამ დღეს ერთმანეთს არ დავშორებივართ. სადაც არ იყავი, ამ დღისთვის მაინც თბილისში ჩამოდიოდი ხოლმე. რა ბედნიერები ვიყავით, ჯანმრთელები, კარგ გუნებაზე მყოფნი და ვერ ვაფასებდით... შენ რა გაქვს ასაღელვებელი, იმდენი გაქვს გაკეთებული... მე სრულიად დარწმუნებული ვარ დავიწყებას არ მიეცემი.

იმითაც ბედნიერი უნდა იყო, რომ ეხლაც ასეთი ნათელი გონება, ამდენი ენერგია, მეხსიერება და მუშაობის უნარი გაქვს. შენს შავ ნაწერებს გადავხედე, მანდ რომ ვიყავი, ისეთი ახალგაზრდა ლექსებია, ისეთი ახალი შენი შემოქმედებისათვის (არავითარი ბებრული გადამღერება), ყველანაირად უნდა ვიზრუნოთ, რომ ფიზიკურად მომჯობინდე და ეს ყველაფერი მოათავო. ლექსები, მოგონებები, წერილები... რამდენი საქმე გაქვს!

...მე თუ მინდა სიცოცხლე, მარტო იმისთვის, რომ ხელი შეგიწყო და მოგიარო. მთელი ჩემი სიცოცხლის გამართლება ის იყო, რომ როგორღაც დაგხმარებოდი ფიზიკურად, მორალურად, რომ გემუშავა და კარგად ყოფილიყავი. ვცდილობდი ხელი არ შემეშალა, ოჯახი არ დაგწოლოდა. ვიყავი ყოველთვის კმაყოფილი იმით, რაც გვქონდა და ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულებოდა ქვეყანაზე, შენს ახლო ვიყავი, შენი დიდი ცხოვრებით ვცხოვრობდი და ვსუნთქავდი.

30 დეკემბერი. 1962 წელი.
ლენინგრადი...

„ჩემო საყვარელო მარიკა!

გუშინ წერილი მოგწერე და დღეს ისევ გიგზავნი ახალ ბარათს. დარწმუნებული ვარ შენს კარგად ყოფნაში.

მომწერე ამ ახალი ვითარების შემდეგ, როგორ ხარ? როგორ მიმდინარეობს შენი გამოჯანმრთელება. შენ კარგად იყავი და მე უსათუოდ კარგად ვიქნები. შენი გაჯანსაღება ყველასათვის საჭიროა ჩვენს ოჯახში- და ჩემი სიცოცხლის მომნიჭებელია. ყოველ წამს მენატრები, საოცრად მინდა შენი ნახვა. როდესაც ერთად ვართ, ვერ ვაფასებთ ერთად ყოფნას, მისი სიტკბოება ახლა უფრო გასამხელია და მისაწვდომი შორიდან. შენ ხარ ჩემი სინაზე და სიტკბოება, სიყვარული და მშვენიერება. ხშირად გახსოვდე და წუთითაც არ დამივიწყო. მე ყოველ წუთს მახსოვხარ.

შენი სიმონი
5 იანვარი — 1963 წელი".

მალე კი სიმონის დაბადების დღეც მოვიდა. მრავალი მილოცვა მიიღო სიმონმა. მილოცვები მიიღო მარიკამაც... მაგრამ ისინი ამ დღესაც ცალ-ცალკე იყვნენ.

„...აქ ცხრაში მეც მილოცავდნენ. მე „იუბილარშა" ვიყავი. რას არ მივცემდი, რომ ყოველგვარი მილოცვების გარეშე, ვყოფილიყავი შენთან. რამდენი გეგმები ჩამეფუშა, როგორ მინდოდა შენთვის მომეწყო დღესასწაული ჩვენს სახლში, მაგრამ რადგან ორივე გადავრჩით, ამას მაინც მოვაწყობ. მე მქონდა საავადმყოფოში შენი წიგნი და სურათი და მთელი დღე ვკითხულობდი შენს ლექსებს, ასე რომ თითქმის შენთან ვიყავი.

იანვარი. 1963 წელი"
ლენინგრადი.

თბილისში, გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიანი სახლის მეექვსე სართულზე ცხოვრობდა სიმონ ჩიქოვანი.

აქ თვეობით ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ გამოჩენილი პოეტები და მწერლები: ნიკოლოზ ტიხონოვი, მიკოლა ბაჟანი, ყაისინ ყულიევი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ბორის პასტერნაკი...

„მე წამოვიწყე საქმე, რომელიც თვითონვე განუხორციელებლად, ჩემი მხრივ დაუძლეველად მიმაჩნდა... დავიწყე ოცნება მძიმე და საპასუხისმგებლო სამუშაოზე... „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე. ჩანაფიქრს უკრაინაში ვერ განვახორციელებდი და მეგობართა რჩევით საქართველოში ჩამოვედი... მე მაშინ პირველად ჩამოვართვი ხელი სიმონ ჩიქოვანს, რომელთანაც შემდგომ იმდენი წელი-

ნადი ვმეგობრობდი, რომელთანაც ერთად იმდენი გადამიტანია და მიფიქრია, იმდენი გზა და ბილიკი გადამითელავს.

დაახლოებით 1934 წელს მეორედ ჩამოვედი საქართველოში და კვლავ შევხვდი სიმონს. მის ცხოვრებაში ბედნიერი ცვლილება მომხდარიყო — ცოლი შეერთო. მარიკა ელიავა თავისებური, დაუვიწყარი სილამაზის ქალი იყო. მარიკას სახის ნატიფ ნაკვთებს, თვალთა ნუშისებურად წაგრძელებულ ჭრილებს, ნაზად ხაზგასმულ ყვრიმალებს ოდნავ აზიური იერი დაჰკრავდა. იგი სავსე იყო სინაზითა და ქალური მომხიბლაობით, თუმცა, არც სიმამაცე და სიმტკიცე ჰკლებია. სიმონი და მარიკა უსაზღვროდ ბედნიერნი იყვნენ. მარიკას მამამ მათ თავისი უბრალო ბინის ერთი ოთახი დაუთმო, მაგრამ ოთახში გული არ უდგებოდათ. სიმონმა მარიკასაც გადასდო მოგზაურობის ტრფიალი. ნანახი და განცდილი იქცეოდა სიმონის ლექსთა რელიეფად და ფერებად. მარიკა პირუთვნელი შემფასებელი იყო და სიმონიც აღიარებდა, მისი რჩევები მუდამ შეუმცდარიაო. მაღალმა ინსტიქტმა, ქართული, რუსული, ფრანგული ლიტერატურის ცოდნამ, ბუნებრივმა გემოვნებამ და ტაქტმა — ხასიათის ამ თვისებებმა მარიკა აქციეს სიმონის ლექსთა არა მარტო პირველ მსმენელად, არამედ მისი შემოქმედებითი მიღწევების თანამონაწილედაც...

მიკოლა ბაჟანი"

„...პოეტი თანდათან ჰკარგავდა მხედველობას... ბოლოს დაბრმავდა... და აქ მოხდა ნამდვილი სასწაული! სხვას ვერაფერს უწოდებ ამას. ლექსები, რომლებსაც თხზავდა უსინათლო და რომლებსაც მისი კარნახით იწერდა მეუღლე და სატრფო მისი — მარიკა ჩიქოვანი, იმაზე მეტყველებენ, რომ უსინათლო ხედავდა, დიახ, დიახ, ხედავდა! სწორედ ასე იყო. ეს ლექსები ეძღვნება სატრფოს, სიჭაბუკეში რომ შეიყვარა, შეიყვარა კუბოს კარამდე. პოეტი იხსენებს მათს ახალგაზრდობას, იხსენებს მათს შეხვედრებს, კაშკაშა მზის დამრეცი სხივებით განათებულ თბილისის ქუჩებში; გულის ტოლი სამუდამოდ ახალგაზრდა, ტანკენარი, შავთმიანი, სანუკვარი დარჩა მისთვის. ამ ლექსებით პოეტი გარდაქმნის სიბერეს სიჭაბუკედ, სიბრმავეს თვალხილულობად, წარსულს აწმყოდ... და ყოველივე ეს ერთად აღებული არის პოეზია.

პოეზია სულის ძალაა... სიმონმა კი ისეთი სულის ძალა გამოიჩინა, რომ შეიძლება ჩვენ ყველამ მდუმარედ დავხაროთ თავი ჩვენი მეგობრის და თანამედროვის, საქართველოს შესანიშნავი პოეტის წინაშე.

პაველ ანტოკოლსკი."

მართლაც გასაოცარია, რომ სწორედ ავადმყოფობის დროს იქმნებოდა მისი ბოლო პერიოდის საუკეთესო ლექსები...

„არმაზის აჩრდილებისა" და „ქართლის საღამოების" ავტორი, ლექსის ფერადების მაღალი ოსტატი, სიცოცხლის ბოლო წლებშიც ახალი პოეტური ხილვებით გვაოცებდა...

ისევ სიმონის მეგობართა წერილებს ვფურცლავთ...

„...არა, ნუ ურჩევთ მწერალს კარნახს მიმართოს. კარნახი საკუთარი თავის მოტყუებაა. უკეთეს შემთხვევაში კი, ნამდვილი წამება... რასაც თვალხილული ერთ დღეში გააკეთებს, იმას უსინათლო რამდენიმე თვეს მოანდომებს. სიმონიც ვერ ასცდებოდა ამ გასაჭირს, მაგრამ მას ერთი დიდი ბედი სწყალობდა. ეს მისი მარიკა იყო. დიახ, ნამდვილად ბედნიერი იყო სიმონი, რომ ასეთი მეგობარი ჰყავდა. მარიკა ხომ საკვირველი არსება იყო. თვითონაც მძიმე, ძალიან მძიმე ავადმყოფმა, გაუგონარი ნებისყოფა გამოიჩინა და პირდაპირ, სასწაულებრივად შეინარჩუნა სიცოცხლე, რათა სიმონისათვის მოევლო და შეემსუბუქებინა მისი გასაჭირი, უკითხავდა და ეხმარებოდა მუშაობაში. და მხოლოდ სულ მალე იმის შემდეგ, როცა გარდაიცვალა სიმონი, თვითონაც დანებდა სიკვდილს. ასეთ რაინდ ადამიანებს, ასეთ დიდ სიყვარულს წინათ ხომ მთელ წიგნებს უძღვნიდნენ ხოლმე".

სერგო კლდიაშვილი

ამბობენ: სიმონს არ უყვარდა საკუთარ ტკივილებზე ლაპარაკი და თვით უახლოეს მეგობრებს შორისაც არასოდეს დაუჩივლიაო. ერთადერთი მხოლოდ მარიკა ჩიქოვანი იყო, ვინც ყველა მისი ტკივილი თანაბრად გაიზიარა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარია მარიკას დღიურები. იგი სულ სამიოდე თვეს თუ მოიცავს... არც კი...

გადაწყდა: სიმონისათვის თვალის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ... ოპერაციამდე გამოწერეს საავადმყოფოდან, რათა ერთხანს დაესვენა, ემკურნალა და საამისოდ შინაგანად მომზადებულიყო. ეს მოხდა 1964 წლის 27 მაისს. ამ დღიდან იწყება მარიკას დღიურიც...

„...საღამოს 7 საათზე დაბრუნდა სიმონი საავადმყოფოდან. მე დავხვდი ფეხზე. რომ შემოვიდა თავის სახლში, დერეფანში გაჩერდა. უიმედოდ და საცოდავად თქვა: „ვერაფერს ვხედავ". საშინელება იყო. ცრემლები ვერ შევიკავეთ, შემდეგ თანდათან გაერთო...

...მითხრა, სულ არ მეჩქარებოდა მუშაობა და თურმე, უნდა მეჩქარა. რამდენი რამე მაქვს დასაწერი და ეს დამატყდაო თავს. მე რაც შემეძლო ვაიმედე. ოპერაციის შემდეგ ისევ იმუშავებ მეთქი. მართლაც დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება..."

მართლაც, ბევრი დაუმუშავებელი, მოუვლელი სტრიქონი დარჩა სიმონს. თვითონ აღარ შეეძლო... აღარ შეეძლო არც მარიკას... მაინც მხოლოდ პოეზიას ეპყრა ტახტი მის სახლში.

შემდეგ, პოეტის უმცროსმა მეგობრებმა, მის სტრიქონებზე შეყვარებულმა პოეტებმა ნიკა ჩიქოვანთან ერთად არქივიდან ამოძებნეს ეს სტრიქონები და გამოაქვეყნეს.

„ციტოვებ წიგნს"... ასე ჰქვია სიმონის სიკვდილის შემდეგ გამოსულ ლექსების პატარა კრებულს, რომელთა უმრავლესობა პოეტს დაუმუშავებლად მიაჩნდა და მათი ამ სახით გამოქვეყნებას ალბათ, არც აპირებდა.

სანუკვარი დღიურებივით იკითხება ეს ლექსები...
...მწყურვალი ვარ და მივაგაროზე,
ნუ დამიტოვებ სურას ცარიელს,
მე უკვდავების წმინდა წყაროზე
ჯერ ერთი პეშვი წყალი დავლიე.

„...დღეს დილით მითხრა: მაგიდაზე საწერი ქაღალდი დამიდევი და გათლილი ფანქრები. რაღაცეები, რაც გამახსენდება, უნდა ჩავწეროო. საოცრად გამეხარდა. არ ვიცი, მოახერხებს?

თავის ხელით გააკეთა ჩანაწერები ცალკე სტრიქონებისა:

„დღე ჩაქრა, თუ მიიწურა".
. . . . . . . .
„წავიდა და აღარ მოვა"

საღამოა ნადიკვარზე...
საღამოა შინდისფერი... სხვა გაურკვეველია.

ძალიან სასიამოვნოა სიმონისათვის კითხვა. ბავშვივით უშუალოდ განიცდის. იცინის, მოიწყენს. ყველაფერი სახეზე ეტყობა. თან მოუთმენელია... წიგნის ვაღაფურცვლას არ მაცლის..."

„...ლექსებს მკარნახობდა სიმონი. დაგვირეკეს, უშანგი კითხულობს გურამიშვილსო“. ჩავრთეთ რადიო, როდესაც რადიოში უშანგიმ „ქართული სიმღერა“ წაიკითხა, სიმონს ცრემლი მოერია. ლექსებს რომ უსმენს, თვითონაც ჩუმად ბუტბუტებს... „სად გარბიან, სად მიფრენენ დრონი“... იმეორებდა. გრძნობები მოერია და „სანყალი ბიჭიო“ იძახდა უშანგიზე.

...ძალიან ინტენსიურად მუშაობს აჭარის ციკლზე. ასწორებს და ასწორებს. გაზეთებს ნაკლებად მაკითხებს. მარტოა ოთახში. ხან წევს, ხან ზის, ფიქრობს, ბუტბუტებს. მერე დამიძახებს და რომელიმე სტრიქონს გამასწორებინებს. რომ შევედი, ხომ არ წაგიკითხო, — მეთქი რამე, მითხრა, დამაცადე, „გამწარებული ვმუშაობო“ და გაიცინა...“

ეს დღიურები არის ნამდვილი დრამა, რომელიც სასოწარკვეთისა და იმედის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის შესახებ მოგვითხრობს. აქ პოეტის სიცოცხლის უკანასკნელი, ბინდით მოცული დღეებია ასახული.

მტკივნეულია ამ დღეების მოგონება.

მარიკას ანდერძში, რომელიც სავსეა ახლობელთა და ყველაზე მეტად, სიმონისადმი სიყვარულით, ასე წერია: „ჩემი ცხედარი დასწვით... ფერფლი კი სიმონის სამუშაო მაგიდის უჯრაში ჩადეთო“...

მაგრამ მისი ფერფლი სიმონის საფლავის მიწას შეურიეს, მთაწმინდის მიწას...

მხოლოდ სიყვარული, ის ამაღლებული და წმინდა სიყვარული, რომლისთვისაც მოდის ადამიანი ამქვეყნად, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე, მოჰქონდა მას პოეტთან...

და სიმონის ლექსის სტრიქონები, ასე რომ გვიყვარს, მისიცაა.

თინა კოგალაძე

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

# მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებლები



შ. ჩლაიძის სადიპლომო ნამუშევარი — „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებლები“

საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, ქართველმა მხატვრებმა — ფუნჯისა და საჭრეთელის სახელოვანმა ოსტატებმა მრავალი, ფრიად საინტერესო ნაწარმოებები უძღვნეს რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა 200 წლის წინ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა; ჩვენი მხატვრებიც კარგა ხანია საგანგებოდ ემზადებიან ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად.

ამ ასპექტით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ნიჭიერი მხატვრის — შოთა ჩლაიძის მიერ შესრულებული მრავალფიგურიანი ფერწერული ტილო, რომელსაც „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებლები“ უწოდა. ეს იყო მისი სადიპლომო შრომა, რომელსაც მხატვარმა რამდენიმე წელი მოანდომა.

შ. ჩლაიძემ დიდი მუშაობა გასწია ამ ფერწერული ტილოს შესაქმნელად. იგი მივლინებული იყო მოსკოვსა და ლენინგრადში, რომელთა არქივებში ეცნობოდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიას, სწავლობდა როგორც რუს, ისე ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა დოკუმენტურ მასალებს. ამ ისტორიულმა დოკუმენტებმა და სხვა ფაქტორებმა შ. ჩლაიძე მიიყვანეს ლოგიკურ დასკვნამდე — შეექმნა დიდი ფერწერული ტილო ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ, კერძოდ, მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა შესახებ, რომელთა შორის იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც.

„მ. ლომონოსოვთან, ი. შუვალოვთან და ელისაბედ დედოფალთან ერთად, — წერდა ვახუშტის შესახებ პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, 1963 წლის 8 მაისის გაზეთ „კომუნისტში“, — „იგი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის წევრ-დამაარსებელი, რასაც მოწმობს ოქროს ფირფიტა, ოდესღაც რომ ამშვენებდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფასადს.

დიპლომანტმა შ. ჩლაიძემ შეგროვებული ფაქტები გააცნო თავის ხელმძღვანელს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს. პატივცემულმა უჩამ მოწაფეს შესთავაზა შეექმნა მრავალფიგურიანი ფრონტალური კომპოზიცია. ახალგაზრდა მხატვარი დიდი სიხარულით დასთანხმდა ამ წინადადებას, დაწვრილებით შეისწავლა მიხეილ ლომონოსოვისა და ვახუშტი ბაგრატიონის იკონოგრაფიული მასალები, სხვა მხატვართა ჩანახატები, კომპოზიციები და მათს საფუძველზე შექმნა სურათი. სადიპლომო ნაშრომის დაცვას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე მოჩალსკი. კომისიის წევრები იყვნენ მხატვრები ა. ქუთათელაძე და უ. ჯაფარიძე.

რეცენზენტმა პროფესორმა რ. რჩეულიშვილმა მაღალი შეფასება მისცა სადიპლომო სამუშაოს. აღინიშნა, რომ, მხატვარმა წარმატებით გაართვა თავი ამოცანას, მთავარი პერსონაჟების გვერდით წარმოსახა იმდროინდელი სტუდენტები, ამასთან ზუსტად დაგვიხატა მათი სახე და ტანსაცმელი.

კომპოზიციის ცენტრში დიდ მეცნიერს მიხეილ ლომონოსოვს, უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების გეგმა გაუშლია და შთაგონებით გასცქერის შორეთს... ასეთივე გრძნობით აქვს გასხივოსნებული სახე ვახუშტი ბაგრატიონსაც.

სურათი „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებლები“, რომელიც მხატვარმა შოთა ჩლაიძემ შექმნა, კიდევ ერთი ფურცელია რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობის მატიანისა.

**სიმონ ნაციაშვილი,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



# მარიამ ერმოლოვა და საქართველო




მარიამ ნიკოლოზის ასული ერმოლოვა, რომელსაც კ. სტანისლავსკიმ „რუსული თეატრის გმირული სიმფონია“ უწოდა, XIX საუკუნის დაასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად არის მიჩნეული. თავის შემოქმედებაში მან უდიდესი ნიჭიერებითა და მგზნებარებით გამოხატა ამ ეპოქის პროგრესული მისწრაფებები, საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ლტოლვა უკეთესი მომავლისაკენ, პროტესტი არაადამიანური ცხოვრების წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი ხდებოდნენ მისი კატერინა („ჭექა-ქუხილი“), ლაურენსია („ცხვრის წყარო“), ნეგინა („ნიჭიერნი და თაყვანისმცემლები“), მარიამ სტიუარტი (ამავე სახელწოდების შილერის დრამა) და მრავალი სხვა. დიდი ტრაგიკოსი ქალი, ჟანა დარკის როლში მისი თანამედროვე რევოლუციური ახალგაზრდობის სათაყვანებელ კერპად იქცა. მისი მოქალაქეობრივი სიმტკიცით გამსჭვალული ხელოვნება ზარივით რეკდა, მცირე თეატრის სპექტაკლში, თუ კონცერტზე ყოველი მისი გამოსვლა წყვდიადის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებას წარმოადგენდა. მის წინაშე ქედს იხრიდნენ მსოფლიო თეატრის დიდი ვარსკვლავები, — ერნესტო როსი, გუსტავო სალვინი, მუნე-სული, ლუდვიგ ბარნაი და სხვანი.

1884 წლიდან, როცა მოსკოვის მცირე თეატრში პირველად ფეხი შედგა ჩვენმა დიდმა თანამემამულემ ალექსანდრე სუმბათაშვილმა-იუჟინმა, მის საუკეთესო სპექტაკლებში იგი ერმოლოვას ღირსეული პარტნიორი გახდა. მსახიობი ქალი მას თავის რაინდს ეძახდა. ა. სუმბათაშვილს განსაკუთრებული, სამშობლოს მოცილებული ადამიანის გრძნობით უყვარდა საქართველო და ხშირად ესაუბრებოდა საქართველოზე მარიამ ერმოლოვას. ერმოლოვას საქართველოზე ბევრი რამ სმენია დრამატურგ ოსტროვსკისაგანაც, რომელიც მოხიბლული იყო იმ მიღებით, რომელიც მას 1883 წელს თბილისში გაუმართეს, იმ ზეიმით, რომელიც მან თვითონ გასტროლების დროს განიცადა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ, როდესაც 1903-4 წლის სეზონში მცირე თეატრის სცენაზე დაიდგა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, დედოფალ ზეინაბ-თამარის როლი მ. ერმოლოვას შესთავაზეს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო ძალები: ლენსკი (ანანია), ლეშკოვსკაია (რუქაია), ოს-

ტუჟევი (ერეკლე), ხოლო ოთარბეგს თვით პიესის ავტორი ასრულებდა. ა. სუმბათაშვილი თავის მოგონებებში წერდა, რომ ერმოლოვამ, ზეინაბის როლში მთელის ძალით გამოავლინა თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მრწამსი, რომ ზეინაბის როლი მსახიობის უკანასკნელი უძლიერესი გმირული სახე იყო. მსახიობი ბოლომდე განიმსჭვალა თავისი გმირის განცდებით, შეიგრძნო ამ სახის ყველა ეროვნული ნიუანსი. გაკვირვებული სუმბათაშვილი წერს: „დღემდე ჩემთვის გამოცანაა, რა საიდუმლოებით შეძლო ერმოლოვამ, რომელსაც არასოდეს უცხოვრია საქართველოში, ამ თავით ფეხებამდე სლავმა ქალმა გამხდარიყო ჭეშმარიტ ქართველად თავის თამარში?!“

1908 წელს ა. სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილეზე ქ. მოსკოვში ჩავიდა ქართველ მსახიობთა დელეგაცია. იუბილარს მგზნებარე სიტყვით მიმართა ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა კოტე მესხმა; მის გამოსვლას უდიდესი წარმატება ჰქონდა, დარბაზიდან გაისმოდა — „სთქვი რამე კიდევ!“. კ. მესხმა მადლობის ნიშნად თავი დახარა და შემდეგ მიმართა რუსული სცენის მშვენებას მარიამ ერმოლოვას, მიმართა შინაგანი მღელვარებით სავსე სიტყვებით:... „სამშობლოდან წამოსვლისას მე მიბრძანეს, რომ როდესაც დაგინახავდით თქვენ, დიდებულ მარიამ ნიკოლოზის ასულ ერმოლოვას, მთელი საქართველოს სახელით თავი დამეხარა მოწიწებით. შეუდარებელო მარიამ ნიკოლოზის ასულო, გუშინ, როდესაც მე თქვენი საკვირველი თვალები ცრემლებით სავსე დავინახე, — ჩემი გულის სიმები ათრთოლდა. მაშინვე მივხვდი, თუ როგორ უნდა იტანჯებოდეთ, თქვენ, ამდენი სიყვარულის გრძნობით აღსავსე და მომაგონდა, რომ თქვენ ერთადერთი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც ქართველი დედა... აი ამ ტანჯვისათვის, მოწიწებით სალამს გიძღვნით, იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერის ცეცხლით აღგენთოთ გულნი, რომელნიც მრავალჯერ აღიგზნიათ ზენაარის ნიჭით“...

კ. მესხის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა. მეორე დღეს მოსკოვის გაზეთები აღფრთოვანებით აღწერდნენ ქართველი მსახიობის ჩინებულ სიტყვას, ხაზს უსვამდნენ იმ დიდ პატივისცემას, რომლითაც მან გამოხატა ქართველი ხალხის აღტაცება რუსი ხალხის დიდი და საამაყო შვილის ბრწყინვალე შემოქმედების მიმართ.

სუმბათაშვილის აზრით ერმოლოვამ „შექმნა თავისი ეპოქა რუსულ სცენაზე“, და სიკვდილამდე მისი თაყვანისმცემელი დარჩა. 1920 წელს ერმოლოვას სასცენო მოღვაწეობის 50 წელი დიდი ზეიმით აღინიშნა, როგორც დიდი დღესასწაული: ამ საღამოს, მას პირველს მიენიჭა რუსეთში სახალხო არტისტის წოდება. ერმოლოვა ხშირად გამოდიოდა სტუდენტთა საქველმოქმედო საღამოებზე, დემოკრატული აუდიტორიის წინაშე. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სუმბათაშვილის თხოვნით მან მონაწილეობა მიიღო „კავკასიურ საღამოში“, რომელიც ქართველთა სათვისტომომ მოსკოვში გამართა. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე წაიკითხა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები.

...მარიამ ერმოლოვა დღემდე ხალხისადმი სიყვარულის,. საოცარი მოკრძალების და თავისი ხელოვნებისადმი თავდადების სიმბოლოა. იგი მარტო რუს მსახიობებთან კი არ მეგობრობდა, არამედ, უკრაინელ, ქართველ და სხვა ერის წარმომადგენელ მსახიობებთანაც. როცა ვასო აბაშიძეს იუბილე გადაუხადეს, მცირე თეატრის მოღვაწეთა პატივისცემის გამომხატველ მისასალმებელ ბარათში პირველად მისი ხელმოწერაა მოთავსებული.

მარიამ ერმოლოვას შესახებ ვასილი ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკომ სამართლიანად აღნიშნა, რომ რუსეთის დიდ გმირთა სახელების გვერდით ისტორიკოსებმა მისი სახელიც უნდა მოიხსენიონ... ერმოლოვა პირველი რუსი მსახიობი ქალია, რომელმაც რუსულ სცენაზე აამეტყველა ქართველი ქალი, გამოიჩინა ინტერესი საქართველოსადმი, მისი ისტორიისადმი, უდიდესი ტრაგიზმით გადმოსცა საქართველოს ავბედითი ისტორიის [illegible] ბნელი დღეები. სწორედ ამიტომ, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის დიდი დღეასასწაულების დღეებში, სხვა რუს მოღვაწეებთან ერთად, მადლობის გრძნობით ვიგონებთ მარიამ ნიკოლოზის ასულ ერმოლოვას, ვინაც თავისი მოღვაწეობით ქართველი ხალხისადმი პატივისცემას და სიმპათიას გამოხატავდა.

**ნადია შალუტაშვილი,**
პროფესორი

## მე შემოდგომის სიმღერას ვიტყვი

შენ გაზაფხულზე მელოდი დიდხანს,
მე ყვავილებთან ვცეკვავდი ლხენით,
დღეს ვნატრობ, ვნატრობ იმ დღეს და იმ ხანს,
რა ჩუმად, ჩუმად წასულან დღენი.
შენ გაზაფხულზე მელოდი სევდით,
მე არ ვიცოდი ლოდინის სევდა,
მერე სხვადასხვა უღელსა ვწევდით
და ცივი ქარი სახეში გვცემდა.
შენ გაზაფხულზე მეძახდი თურმე,
რომ არ შემეგრძნო სიცივე ზამთრის,
შენ მაინც, მაინც არ დამემდურე,
რომ სიყვარულის სიმღერა არ ვთქვი.
შენ გაზაფხულზე მეძახდი უხმოდ,
შემოდგომაზე გიპოვე ახლა,
და ჩემს ბავშვობას ბავშვივით ვუხმობ,
დამვიწყებია ცხოვრებით დაღლა.
თეთრი ზამთარი მოსულა თურმე,
წარსულ წლებს მაინც ამაყად ვითვლი,
დე, გაზაფხული წავიდეს დროა, —
მე შემოდგომის სიმღერას ვიტყვი.

**ნუნუ შალვაშვილი**







# ფერადი ძაფით

ჩვენი დედაქალაქი განებივრებულია მხატვარ-ფერმწერთა გამოფენებით, მაგრამ ამჯერად სულ სხვა იყო გამომცემლობა „მერანში“ გამართული გამოფენა, ასე მრავლად რომ ჰყავდა დამთვალიერებელი. არც მონაინების სტრიქონებს იშურებდნენ შთაბეჭდილების წიგნში.

ბიეტა აბშილავას ამ გამოფენას ზოგმა იშვიათი უწოდა, ზოგმა ხალხური, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს შრომა თანამემამულეთა სიყვარულმა გააკეთებინა და შეაძლებინა.

მაინც რით მიიქცია მან ესოდენ დიდი ყურადღება?

ქართველ მწერალთა ავტოგრაფები და ლექსები ძაფით არის ამოქარგული. ეს კი დიდი ნებისყოფის, მოთმინების და სიყვარულის შედეგია. ვის ავტოგრაფს არ შეხვდებით ამ ორიგინალური ხელოვნების მეშვეობით, ვის სურათს არ იხილავთ! „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს, აკაკის, ილიას თუ ტერენტი გრანელის, ვაჟას თუ გალაქტიონის — ავტოგრაფულ სტრიქონებს. ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტს, „დედაენის“ სატიტულო „ია, ია“-ს, ელგუჯა ამაშუკელის ცნობილი მონუმენტური სკულპტურა ვახტანგ გორგასალი. ირაკლი აბაშიძე გინდათ თუ მარიკა ბარათაშვილი, ანა კალანდაძე თუ შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მარგიანი, მედეა კახიძე, ვლადიმერ ალფენიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ზაურ ბოლქვაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, ხუტა ბერულავა და მორის ფოცხიშვილი, თუ... ვინ მოთვლის კიდევ ვისი ავტოგრაფი და ლექსი არ აკიაფდა ფერადი ძაფებით ტილოზე!

რა საქმის გაკეთება არ შეუძლებია ამ პაწია ნემსს, თუ კი მას გონივრულად მოიხმარ, თუ კი შრომა შენი თანამგზავრია.

საგამოფენო დარბაზში შევხვდით ბიეტას, რომელმაც რამდენიმე შეკითხვაზე გაგვცა პასუხი.

— რამ გამაკეთებინა?.. ჩემი ერისა და ხალხის სიყვარულმა, მათდამი პატივმა და თაყვანისცემამ, მაფიქრებინა რომ შთამომავლობისათვის შემომენახა ამ ამაგდარი ხალხის ამოქარგული ავტოგრაფები...

— რამდენი ხანია რომ ვმუშაობ ამ ჩანაფიქრზე? თითქმის მთელი სიცოცხლე...

მართლაც დიდი ნებისყოფაა...

იქამდე კი ბიეტამ მხოლოდ საკუთარი ლექსები ამოქარგა, მაშინ ჯვარედინ ქარგვას უფრო აქცევდა ყურადღებას, თანაც ასოები კუთხოვანი გამოჰყავდა.

მერე? მერე, როცა მიზნად დაისახა ავტოგრაფთა ქარგვით გადმოღება, ქარგვის მანერაც შეიცვალა, რამაც უფრო ზუსტი და დახვეწილი გახადა ხელნაწერები.

დათო კრანაშვილს გალაქტიონი დაუხატავს, ბიეტა აბშილავას ნახატისთვის თითქოს ხელახლა მიუნიჭებია სიცოცხლე, ამოუქარგავს დათოს ნახატი „გალაქტიონი“, ბრწყინვალე ლექსი „მე და ღამე“... აქვე, ლექსის შესაფერი პეიზაჟი აუღალანებია პაწია ნემსით.

გარდა ჩვენი მწერლების ავტოგრაფებისა და ლექსებისა, ხალხური მოტივებიც გამოუყენებია, აი თუნდაც „მშვიდობა შინ და გარეთ“ აქ დედამიწის ბურთია ამოქარგული, ზედ მშვიდობის მტრედი ზის.

„ვაჟკაცსა გული რკინისა“ აქ ხევსურს მთაზე შეუდგამს ფეხი და გულხელდაკრეფილი ჩაჰყურებს უფსკრულს. საყურადღებოა „ძეგლები დავიცვათ“ (ტაძარი ორი ხელის გულზეა აზიდული.)

აქ კი ზვიად გამსახურდიას ლექსის სტრიქონები: „შენი ბარძიმია წმინდა ივერია, მისი გამრავლება შენს ცაზე სწერია“, რომლის ილუსტრაციად ვაზის მტევანია გამოყენებული.

ბიეტა აბშილავამ თავისი ლექსიც ამოქარგა მოკრძალებით:

„შენს სიყვარულთან ველარ გამყრიან,
დე, მარად მედგას შენი უღელი“.

ამ სიფრიფანა ქალს, მართლაც საინტერესო ტვირთი დაუდგამს მხრებზე და ბოლომდე უნდა ზიდოს: რამდენი ავტოგრაფი ელის მის სათუთ ხელს და კვლავ რამდენი ფერადი ძაფი ამოჰქარგავს სახელსა და გვარს, ტაძარსა და ტყეს, ფრინველსა, მთასა და მდინარეს. მადლობის მეტი რა გვეთქმის!

დოდო ზურაბაშვილი

ჩვენი ჯანმრთელობა, ჩვენს ხელთ არის



(ნახევრად იუმორით)

მხატვარი ცინარა ტერელაძე

ქალი მეცნიერი, ქალი ხელოვანი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ქალი გემის კაპიტანი, კოსმონავტი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა. ყოველივე ზემოხსენებულით დღეს ველარავის გააკვირვებ. საუკუნოვანი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობის შემდეგ, როგორც იქნა ქალებს თანასწორუფლებიანობა მივანიჭეთ. ჩვენს დიდსულოვნებას მართლაც რომ ზღვარი არა აქვს (ისე კი მატრიარქატის ეპოქაში, არა მგონია, ქალებს მსგავსი დიდსულოვნება გამოეჩინათ). მაგრამ კაცები მაინც კეთილშობილი ხალხი ვართ და ჩვენი საყვარელი ქალების საკეთილდღეოდ ბევრი რამ საკუთარი დავთმეთ. გული სიამაყის გრძნობით მევსება, სადღაც ვმაღლდები კიდეც საკუთარი თავის წინაშე, როდესაც ჩვენს დიდსულოვნებას ვიხსენებ. განსაკუთრებით მახარებს იმის შეგრძნება, რომ ქალებს ყველა თანასწორუფლებიანობით მინიჭებულ სიკეთესთან ერთად, ოჯახის მეურნეობა და მოვლა-პატრონობის უფლებაც რომ დავუტოვეთ. მართლაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა ქალის ცხოვრება, მისთვის ოჯახის მოვლა-პატრონობის ეს უკეთილშობილესი მოვალეობა, რომ არ დაგვეთმო! ყოველივე ზემოთქმულს ჩემი ოჯახის მაგალითზე მოგახსენებთ, ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ მეგულება. შვილები და შვილიშვილები თავს მახვევია. არც სიძე მაკლია და არც რძალი. სიდედრიც ღვთისნიერი ქალი შემხვდა. რაკი სიდედრი ვახსენე, უკვე ვხედავ თქვენს გალიმებულ სახეებს. ალბათ ფიქრობთ, დაიწყება ყელში ამოსული სიდედრის აუგი ხსენება.

— არა, მეგობრებო, ჩემი სიდედრი, მართალია, გურული გახლავთ, მაგრამ ერთი სათნო, მშრომელი და უენო ქალია. მეუღლეზე ხომ კარგის მეტი რა მეთქმის. ვერ ვიტან ენაჭარტალა მამაკაცებს, დადგებიან და რაც ენაზე მოადგებათ, ყველაფერს ლაყბობენ: სამსახურში რძეს მაძლევენ, პერსონალურ პენსიას მპირდებიან, ბაზარში წინაკას არ ვყიდულობთ და ა. შ.

ჩემი მეუღლე სულ სხვა ქალია. სამსახურიდან მოსული რძალს ცოცხს ხელიდან გამოსტაცებს, სამზარეულოში ქალიშვილს არ გააჭაჭანებს. ოთახების დალაგებასაც ასწრებს, სადილის შეკაზმვასაც და ნაბანავები შვილიშვილების ზღაპრით დაძინებასაც. ერთი სიტყვით, ზემოთ რომ ქალის ოჯახურ ბედნიერებაზე ვლაპარაკობდი, სწორედ რომ მასზეა ნათქვამი. სამსახურიდან დაბრუნებულებს ცხელ კერძსა და გაშლილ სუფრას ყველას ცალ-ცალკე გვახვედრებს. საღამოს კი, როცა ტელევიზორში საინტერესო გადაცემებს ვუყურებთ, ლოჯიაში საუთოო დაზგასთან მდგომი, ცალი თვალით ტელევიზორში ფრაგმენტების დანახვასაც კი ახერხებს.

ერთი სიტყვით, ჩემს ოჯახს თავისი საკუთარი ცხოვრების რიტმი აქვს შემუშავებული და თავს ყველანი ბედნიერად ვგრძნობთ. ერთი კია, ოჯახში ერთგვარი დისონანსი ქალთა დღის მოახლოებას შეაქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ოჯახში ექვსი ქალი მყავს და ხშირად გადაუჭრელი პრობლემის წინაშე ვდგები.

იმ დღესაც, ტელევიზორის წინ სავარძელში მჯდომს, კუდრაჭა ნინიკო კალთაში ჩამიჯდა და მიამიტად მკითხა: —

ბაბუა 8 მარტს რატომ ჰქვია ქალთა დღე?...

— უცბათ მივხვდი — ჩემი ქალიშვილის ჩაწყობილი საქმე იყო. სამი კვირით ადრე გამახსენა 8 მარტის მოახლოება. გასული წლის 8 მარტი მომაგონდა; მთელი დღე მაღაზიებში ვიხეტიალე, მაგრამ ვერც საჩუქარი ვიყიდე და ვერც 3 მანეთი გავიმეტე თითო მიხაკში, ხოლო სახლში რომ დავბრუნდი ველარაფერი მოვიფიქრე, შუბლზე ვიტკიცე ხელი და სასოწარკვეთილი ხმით წარმოვთქვი: — ეს რა მომივიდა, ქალთა დღე, როგორ დამავიწყდა!...

მართალია, საყვედური არავის უთქვამს, მაგრამ მე ხომ ვგრძნობდი, როგორ დავეცი საკუთარ თვალში.

გადავწყვიტე შარშანდელი სირცხვილი გამომესყიდა და რაღაც ორიგინალური მომეფიქრებინა. მოვიშველიე იატორიული ფაქტები, გადავათვალიერე ჟურნალ-გაზეთები და აი, ერთ მშვენიერ დღეს ხელთ მომხვდა მეტად საინტერესო ცნობა. თურმე ჩვენს ქვეყანაში 18 მილიონით მეტი ქალი ცხოვრობს, რომ მსუბუქ და საფეიქრო მრეწველობაში 80 პროცენტი ქალი მუშაობს. ქალები მამაკაცებზე საშუალოდ 3-ჯერ მეტად არიან დაკავებული საოჯახო საქმიანობით, რასაც კვირაში საშუალოდ 35-40 საათს ახმარენ. სპორტულ სტატისტიკასაც მივაქციე ყურადღება და დავადგინე, თურმე ქალთა სიჭარბის მიუხედავად, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მათი მცირე პროცენტია ჩაბმული. ევრიკა! ვიყვირე და შუბლზე ვიტკიცე ხელი. სწორედ მაშინ დამებადა დიდებული აზრი, ფიზკულტურაში ჩაბმით ჩემი ოჯახის წევრების გაჯანმრთელება-გაკაჟების საქმე მომეგვარებინა (აბა, ამაზე უკეთესს რას ინატრებს კაცი), თან ზემდგომი ორგანოების მოწოდებას: „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურის ქალაქად“, გამოვხმაურებოდი.

გადავქექე ჩემი ბიუჯეტი, გავიწ-გამოვიწიე და ოჯახის თითოეული წევრისათვის სპორტული ფორმის შეძენა გადავწყვიტე. თავი ისე მეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მაგრამ ქალს გამოაპარებ რამეს?! მხოლოდ ქალისთვის დამახასიათებელი ინტუიციით რაღაცას გრძნობდნენ და თავს მევლებოდნენ.

და აი, ნანატრი 8 მარტის მზიანი დღეც გათენდა (ვისთვის გათენდა, თორემ მე თეთრად გავათენე).

როცა ყველამ დაიძინა, ჩემი ოჯახის ექვსივე ქალს პატარა თამუნას, ნინიკოს, რძალს, ქალიშვილს, მეუღლესა და სიდედრა, სათითაოდ სასთუმალთან ლამაზად შეკრული პაკეტები და მისალოცი ბარათები დავუწყე. დილას კი ისე გავიპარე, არავის გაუგია.

იმ დღეს, სამსახურში თანამშრომელ ქალებს ჩვეულებისამებრ სუნამოები დავურიგეთ და კმაყოფილი შინისაკენ გავეშურე. რაღაც განსაკუთრებული შეხვედრის მოლოდინში, ლიფტს აღარ დაველოდე და მეშვიდე სართულზე ფეხით ავირბინე.

ადრე ჩემს ფეხის ხმას ყველა გრძნობდა და ხშირად ზარის ღილაკის დაჭერაც არ მჭირდებოდა. ისე კი ჩემი რძლის თქმით, ოჯახის წევრებს განსაკუთრებით უხარიათ, როდესაც ზარის დარეკვის ნაცვლად კარს ფეხს ვურტყამ (გამოცდილებით იციან, რაღაც მომაქვს, ორივე ხელი დაკავებული მაქვს). მაგრამ იმ დღეს ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. არც ზარია რეკვამ მიშველა და არც ფეხის დარტყმამ. ბოლოს, როგორც იქნა, კარი ისევ მეუღლემ გამიღო. არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთი ისე შემომხედა (მხოლოდ გურულ ქალს, რომ შეუძლია), რომ მაშინვე მივხვდი, რაღაც უბედურება ტრიალებდა ჩემს თავს.

მოთმინებიდან გამოსული ის იყო აფეთქებას ვაპირებდი, როცა სამზარეულოდან, სადაც სიდედრი მეგულებოდა, თეფშების ისეთი ხმაური მომესმა, გაჩუმება ვამჯობინე. ბოლოს მაინც მეუღლემ იკადრა ხმის გაცემა და საყვედურით მითხრა. — რაში დაგჭირდა ჩვენი ასე გამასხარავება. თან წინ ჩემს მიერ საგულდაგულოდ ნაშოვნი თბილისური საწერთნო კოსტუმი და კედები დამიდო. ამ დროს სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ქალიშვილი, რძალი და შვილიშვილები გამომეცხადნენ. სიმართლე გითხრათ, გულს შემომეყარა, როდესაც რაღაც საშინლად უგემური მუქი ლურჯი ფერის კოსტუმები დავინახე. ქალიშვილს ქვედატანი კისერთან ჰქონდა ამოწეული, ფეხზე ცალ-ცალი კედი ეცვა. რძლის ზედატანის ერთი სახელო მეორეზე 20-25 სმ გრძელი იყო, შვილიშვილებზე ნუღარას მკითხავთ, პატარა საფრთხობელებს ჰგავდნენ.

ერთი სიტყვით, ყველას წინაშე დიდი ბოდიში მოვიხადე სპორტული ფორმის ხარისხის გამო, ავუხსენი, რომ მთავარი მაინც შინაარსია და არა ფორმა. თან ნახევარსაათიანი ლექცია წავუკითხე ფიზიკური კულტურის სარგებლობაზე. როგორც იქნა, სიდედრიც შემოვირიგე, მხოლოდ ერთი კი მითხრა გულისტკივილით: ნენა, ამდენ ხანს არ გიკადრებია ცუდი და ახლა რა დაგიშავეო. ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ ვერცერთი ვერ დავითანხმე სპორტული ფორმის ჩაცმაზე და ვარჯიშის დაწყებაზე.

ერთი სიტყვით, ყველას წინაშე დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მეუღლე და შვილიშვილები მანქანით ქალაქგარეთ გავიყვანე. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იქ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი სხვა ოჯახებიც ვნახე. ამან ცოტა არ იყოს მეც იმედი მომცა და მეუღლეც გაამხნევა, ოღონდ მოფარებული ადგილის მოძებნა მთხოვა, უცხოების მერიდებაო. დარწმუნებული ვარ, უფრო სხვების „ადიდასის“ ფონზე თბილისური სპორტული ფორმა რომ ეცვა ის რცხვენოდა. ერთი სიტყვით, იმ დღეს ბუნების წიაღში ვილაღეთ, ბურთიც ბევრი ვითამაშეთ და შვილიშვილებიც გულით გავახარეთ.

მომდევნო კვირას, ყველაფერი განზე გადავდეთ და იგივე შემადგენლობით შერჩეულ ადგილს მივაშურეთ. იმ დღეს მშვენივრად დავისვენეთ, თან დაბრუნებულებს ბინაც დალაგებული დაგვხვდა და სადილიც დამზადებული.

ეს კია, რძალსა და ქალიშვილს მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება ვერ შევნიშნე სახეზე, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა; ოჯახში გადატრიალება ხდებოდა!

მესამე კვირასაც თბილისის შემოგარენის უფრო ლამაზი მხარე შევარჩიეთ და ისევ გულით გავიხარეთ.

ის იყო და ის, იმ დღიდან მოყოლებული, მეუღლემ დილის ვარჯიში დაიწყო, ჩემი კუდრაჭა შვილიშვილები მის გარშემო ციყვებივით დახტიან. ვარჯიშის შემდეგ კი გალაღებულნი შხაპსაც სიამოვნებით იღებენ და ტანსაც ხაოიანი პირსახოცით იზელენ.

ერთ კვირას ჩემი ვაჟი და სიძეც ავიყოლიეთ. მართალია, მათ შემთხვევით რამდენიმე ბოთლი ღვინოც გამოყვათ, რომელსაც თამაშითა და ტყუ-ტყუ სიარულით დაღლილნი სიამოვნებით შევექეცით.

ერთი-ორჯერ ქალიშვილი და რძალიც წამოგვყვა, საწყლებს მობეზრდათ კვირა დღეს ბინის დალაგება, საჭმლის დამზადება და ჩვენთან წამოსვლა ამჯობინეს. ერთი-ორჯერ სიდედრის წაყვანაც დავაპირე, მაგრამ შორს დაიჭირა.

მართალია ოჯახის ყველა წევრის 100 პროცენტით გაწევრიანება ვერ მოვახერხე, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, ჩემს ცდას უქმად არ ჩაუვლია. ზუსტად ერთი თვის თავზე ჩემმა მეუღლემ საზეიმოდ განაცხადა: — რა სულელი ვიყავი, წლების განმავლობაში კვირა დღეს სამზარეულოსა და სამრეცხაოში რომ ვათენებდი...

მას შემდეგ ყოველ კვირა დღეს მოუთმენლად ველით.

ძვირფასო ქალებო, მართალია, თქვენ თანასწორობის ყველა სიკეთესთან ერთად ოჯახის მეურვეობის უფლებაც დაგიტოვეთ, მაგრამ მოდით და ერთი კვირა დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, ისევ და ისევ თქვენი ოჯახის წევრების საკეთილდღეოდ, მოსცილდით გაზქურას, სარეცხ მანქანას, გამოდით პარკებში, სპორტულ მოედნებზე, თბილისის დალოცვილ მიდამოებში, აიყოლიეთ ოჯახის წევრებიც და როცა საკუთარი ტანის სიმძიმეს პირველად დაძლევთ და რაღაც განსაკუთრებულ სიმსუბუქეს იგრძნობთ, ეს განცდა არასდროს დაგავიწყდებათ.

თანასწორუფლებიანო და საყვარელო ქალებო, ერთი დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, კვირა დღეს გარეთ გამოდით!

გივი ყირმელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა

# ახდენილი ოცნება

ქართული ბიბლიოთეკა



თამარ და ჯემალ ფხაკაძეების მრავალშვილიან ოჯახში ყველას ნახვა ძალიან გაჭირდა, თუმცა საამისოდ ყველაზე კარგი დრო შევარჩიეთ.

თითქოს ყველაფერი გუშინ დაიწყო: ჯემალ ფხაკაძეს, ფარცხანაყანეველ ალალ ბიჭს, ერთი ალალი ოცნება უტრიალებდა — ჰქონოდა ლამაზი ოჯახი.

უკეთესი ნატვრა არც არსებობს, თუმცა სხვაც ბევრი რამ ჰქონდა სანატრელი სოფლელ ბიჭს, მაგრამ ყველა ნატვრას ეს ერჩია და როცა მის სოფელში დეიდასთან სტუმრად მყოფი ბაქოელი თამარ ჩოგოვაძე გაიცნო — ჩემი ნატვრა ახდა და ეგ არისო — იფიქრა.

ადრე დაოჯახდნენ. ჯემალმა ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებლად განაგრძო სწავლა. ბაქოს ვაჭრობის ტექნიკუმდამთავრებული თამარი „ქუთვაჭრობის“ მაღაზიაში იწყებს მუშაობას, მერე ჯერ ლელას შეძენამ გაახარა ახალგაზრდების გული; ლელას ბელა მოჰყვა: თვალხატულა მარგოს ცოტა მოგვიანებით დაურწიეს აკვანი; ის იყო მარგო ატიტინდა, აკვნიდან გადმოვიდა და სიარული დაიწყო, რომ დებს ფატი შეემატათ.

მეხუთე ბიჭი გაჩნდა. დიომიდეს გიორგი მოჰყვა. ნაბოლარა დათამ კი ერთნაირი სიხარული მოჰგვარა ყველას.

— თქვენს გარდა სხვა დიდი საქმე მე არ ვიცი, — თქვა ოჯახის დედამ, სამსახურს თავი დაანება და მთელი დრო ოჯახს, შვილებს დაუთმო. გოგონებიც წამოიზარდნენ, ხელი შეაშველეს მშობელს.

შრომის სიყვარული მშობლებისაგან გადაეცათ შვილებს, ამიტომაც იყო რომ ლელამ, სკოლის დამთავრებისთანავე, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას მიაშურა. მისმა ლექსებმა და ჩანახატებმა კი უკვე მიიქციეს ყურადღება. სიბეჯითემ თავისი გაიტანა და ლელამ სწავლა პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე განაგრძო. პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია მისი მომდევნო ბელა. მარგო, დიმა და გიორგი 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. ფატი მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში სწავლობს.

— ფატი მუსიკალური გოგონაა. — დინჯად მიხსნის მარგო, — ვიოლინოზე უკრავს. როცა ინტერნატს დაამთავრებს, კონსერვატორიაში გააგრძელებს სწავლას.

გიორგის ძერწვა უყვარს. სკოლაში საუკეთესო მოსწავლედ ითვლება, ამასთან შესანიშნავად მღერის.

მხოლოდ პატარა დათა სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით. მას ყველა ეფერება, მაგრამ არ ანებივრებენ. პატარა შესანიშნავად ცეკვავს.

სამოთახიანი ბინის მეტი წილი წიგნებს უჭირავს. უნებური გაცვიფრება გიპყრობს — როდის შეძლეს შვიდი შვილის ზრუნვით დატვირთულმა მშობლებმა ასეთი ბიბლიოთეკის შეძენა!

— წიგნი სულის საზრდოა, — ამბობს ოჯახის მამა. — ჩემს შვილებს ძალიან უყვართ პოეზია; ხშირად ვაწყობთ საოჯახო საღამოებს, რომელზეც ვასაჩუქრებთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულებს.

ფხაკაძეების საოჯახო ლიტერატურულ საღამოზე გაზეთი „ქუთაისიც“ მოუთხრობდა მკითხველებს, პატარა დათუნას დაბადების დღეს რომ მოეწყო და ქალაქის ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ მასში. ტრადიციული ხორაგით არ დამძიმებულა სუფრა. იმ დღეს, იგი სადად და უბრალოდ გააწყვეს ფხაკაძეებმა. ბიჭუნას დაბადების დღეს საუკეთესოდ ლექსის თქმისათვის სპეციალური პრიზებიც კი დააწესა ოჯახის მამამ. ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. სტუმრებმა აღტაცება ვერ დაფარეს პატარა ფხაკაძეების ხელოვნების ნახვისას.

— ზოგჯერ შურით შევყურებ ქალაქში, ბაღის კიდეზე მოსეირნე თანატოლებს, — ამბობს ჯემალი, — მაგრამ შინ შვილებთან რომ მოვალ, ყველაფერი მავიწყდება. ზოგი რას მოყვება და ზოგი რას. წამოიზარდნენ გოგო-ბიჭები: ლელას და ბელას უკვე გაუჩნდათ დამოუკიდებელი სურვილები. მარგარიტას დამოკლებული კაბა ჯერ ისევ შეიძლება ფატის ჩავაცვათ; დიმკას შარვალი — გიორგის. ეს პაწაწინა დათა ხომ ოჯახის სული და გულია. დაძმები ასეირნებენ, უყვართ, ყველაფერი საუკეთესო მისთვის უნდათ.

ქუთაისში ჭავჭავაძის პროსპექტზე თოთხმეტსართულიანი სახლის მეათე სართულზე ცხოვრობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ქუთქალაქპროექტის“ უფროსი ტექნიკოსის ჯემალ ფხაკაძის მრავალსულიანი ოჯახი, სადაც ეგზომ ძალუმად დაუსადგურებია სიცოცხლეს, სიყვარულს, სინათლეს!

**ნუნუ მაჩალაძე**

# სანამ გული ძგერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამღამობით ბანაკის სიწყნარეს სროლის ხმა აშფოთებდა. ტუსაღებს არ ეძინათ: ელოდნენ, როდის დადგებოდა ნანატრი ჟამი. ფაშისტები, გრძნობდნენ რა შურისგების მოახლოებას, სწვავდნენ გვამებსა და საბუთებს. კრემატორიუმის მილებიდან შავი კვამლი ამოდიოდა. ზედამხედველთა შორის ხშირი იყო დეზერტირობის შემთხვევები, მაგრამ ხალხის საჟლეტი მანქანა მაინც განაგრძობდა საშინელ საქმეს.

ყოველ დილით ბანაკების ჭიშკრებიდან გაუგებარ ადგილას მიერეკებოდნენ რავენსბრიუკის ტუსაღთა კოლონებს. კბილებამდე შეიარაღებულ ესესელ ზედამხედველებს ბოლოს ქალებიც მიჰყავდათ.

მლადა ტაუფროვა ბანაკში დატოვეს. ბარაკებში ტიფითა და ჭლექით დაავადებული ხალხი იხოცებოდა. მლადა ფაშისტურ ჯოჯოხეთში ექიმის მოვალეობას ასრულებდა. კბილს მაგრად აჭერდა კბილზე, რომ არ ეყვირა და თვალით აცილებდა ტანჯულთა კოლონებს. თავში ერთი და იგივე მტანჯველი აზრი უტრიალებდა: „ისინი სიცოცხლეს უნდა გამოეთხოვონ, ისინი სიცოცხლეს უნდა გამოეთხოვონ"...

ღამის სიბნელეში დამალული რუსი ქალები მეორე დილით საათითაოდ და ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ ბანაკში. ბევრ მათგანს, დაღლილს, დაქანცულს, სიკვდილისგან თავდახსნილს, ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი. მლადა ტაუფროვამ ისინი ბარაკის ფანჯრიდან რომ დაინახა, რაღაცამ ყელში წაუჭირა, თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა. ლოყებს იწმენდდა და თან ბუტბუტებდა: „ახლა კი ვიცოცხლებთ, ახლა კი ვიცოცხლებთ... ახლა აღარ დავიხოცებით, ახლა აღარ დავიხოცებით..."

პრაღის განაპირას, პატარა მყუდრო ბინაში ჩემს წინაშე ზის ქალი, რომელმაც მრავალჯერ იგემა ფაშისტური ჯოჯოხეთის სიმწარე.

„ რამ გადაგარჩინა?".

მლადა ტაუფროვა უცებ ვერ იძლევა პასუხს.

მის გონებაში თანდათან წამოტივტივდება საშინელი და გარდასული დრო, რომელიც ერთი სიტყვით — „ომით" გამოიხატება.

— უწინარესად, შეურყეველი იყო რწმენა, რომ სიკეთე გაიმარჯვებდა ბოროტებაზე, ესე იგი, საბჭოთა ხალხი ფაშისტურ გერმანიაზე, ჩემმა რუსმა მეგობრებმა, რომლებიც თვით რავენსბრიუკის ფაშისტურ ჯოჯოხეთშიც კი ძლიერნი და ამაყნი რჩებოდნენ, თავიანთი სიცოცხლისმოყვარულობით ჩვენს გულში იმედის ნაპერწკალს აღვივებდნენ. ჩემი ამხანაგები კომუნისტები იყვნენ. მათ გაუძლეს გესტაპოელთა შუასაუკუნეობრივ წამებას. დაცემულთა წინაშე მოვალეობამ მაიძულა გავმხნევებულიყავი ყველაზე ძნელ წუთებში.

ადამიანს არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს რა მოელის. მაგრამ ძლიერი სულის ადამიანს თავის შინაგან ბუნებაში მოეპოვება ძალა, და ის მზად არის გაუძლოს ყველაზე დიდ უბედურებას. ეს ძალა ადამიანს თანდათანობით უყალიბდება და ფოლადივით მტკიცე საიმედო საფუძვლად ექცევა. ეს საფუძველი იდეალებისა და მიზნების ერთგულებაა, თავისი საქმის სამართლიანობის რწმენაა.

მლადა ტაუფროვა 17 წლისა იყო, როცა პირველად წაიკითხა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია". ლენინური აზრები გულში ღრმად რომ ჩაინერგა, ახალგაზრდა გიმნაზიელი ქალიშვილი მომზადებული შეხვდა ცხოვრების მრავალ გარემოებას, რომლებმაც განსაზღვრა მისი ბედი.

მლადა ტაუფროვას ძამამ ბევრი წვალების შემდეგ ბრნოდან 40 კილომეტრის დაშორებით, ბოსკოვიცის გიმნაზიაში იშოვნა სამუშაო ადგილი. ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე ისტორიის მასწავლებელი ვერსად ვერ ეგუებოდა კონსერვატორ უფროსებს, მისი ათეისტური შეხედულებები ვერ უთავსდებოდა სამღვთო რჯულის მომხრეთა საშინელებას. ბოსკოვიცში მლადა ტაუფროვამ მიიღო კლასობრივი ბრძოლის პირველი და, აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანი გაკვეთილები. ადგილობრივი პროლეტარიატი მძიმე პირობებში ცხოვრობდა და მლადა ვერ ურიგდებოდა ამას. ქალიშვილის გულში ამ დროს უკვე ღრმად იყო ჩანერგილი სამართლიანობის გრძნობა.

1932 წელს ბოსკოვიცში ჩამოიტანეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა მიერ ორგანიზებული მოძრავი გამოფენა — „პირველი საბჭოთა ხუთწლედი".

ბოსკოვიცელმა კომკავშირელებმა სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს, რადგან პროვოკაციისა ეშინოდათ. გამოფენას ყველაზე ხშირად ადგილობრივი საწარმოების მუშები ნახულობდნენ; ისინი იქ ცალ-ცალკეც მიდიოდნენ და ოჯახითურთაც. ისინი ათვალიერებდნენ ფოტოსურათებს, კითხულობდნენ მანამდე უცნობი გიგანტური მშენებლობების სახელწოდებებს, აოცებდათ ლენინის ქვეყნის საყოველთაო შრომითი აღფრთოვანება, მლადასა და მის მეგობრებს განუმარტავდნენ, არწმუნებდნენ, ასწავლიდნენ ცხოვრების დიალექტიკის რთულ საკითხებს. ეს ბოლშევიკური პროპაგანდის ნამდვილი სკოლა იყო.

ერთი წლის შემდეგ მლადა ტაუფროვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წევრად მიიღეს. მაშინ ის ბრნოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო და სტუდენტთა კომუნისტურ ფრაქციაში შედიოდა. ეს რევოლუციური ბრძოლის, სამართლიანი საქმის ძლიერი რწმენის მშფოთვარე დრო იყო. ამავე დროს საგანგაშო დროც გახლდათ — გერმანიაში ძალაუფლება ხელთ იგდო გაცოფებულმა ფიურერმა.

პარტიის ბრნოს საქალაქო კომიტეტში ამ დროს საუცხოო ამხანაგები მუშაობდნენ, — იგონებს მლადა ტაუფროვა, — მე მარტო მათი ნათელი აზრები და რწმენის სიმტკიცე როდი მაოცებდა, — მუშაობით დატვირთული ეს ადამიანები, პოლიციის ზედამხედველობით გაწამებულნი, ყოველთვის პოულობდნენ დროს ახალგაზრდობასთან სასაუბროდ. ჩვენი ენთუზიაზმი იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ ჭეშმარიტად ბოლშევიკური თავშეკავებით შეიძლებოდა, ეს ენერგია პარტიისათვის საჭირო კალაპოტში ჩაგვეყენებინა. ბევრი ჩვენი უფროსი ამხანაგი ვერ მოესწრო გამარჯვების ნათელ დღეს — ისინი ფაშისტურ საპყრობილეებში დაიღუპნენ". როგორც მლადამ ომის შემდეგ გაიგო, ახალგაზრდა კომუნისტები რომ ეხსნათ, პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელები ბრალდებას თავიანთ თავზე იღებდნენ.

1939 წელს, ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ, პარტია იატაკქვეშ მუშაობაზე გადავიდა. პირველ ხანებში ამოცანა ის იყო, რომ ადგილებზე თავი მოეყარათ გაფანტული ძალებისათვის. მაგრამ ფაშისტებმა შეძლეს ბრნოს ორგანიზაციაში პროვოკატორის შეგზავნა. 1940 წელს ოქტომბერში მლადა ტაუფროვა დააპატიმრეს. დიდხანს აწვალებდნენ გესტაპოელები მას. „განსაკუთრებული ზეგავლენის" მეთოდი ფაშისტებმა სიტყვიერი დემაგოგიით შეცვალეს.

— 1941 წლის ივლისში გერმანიაში წამიყვანეს. რკინიგზის სადგურებზე ვაგონების გისოსებიან ფანჯრებში გერმანული მარშის არეული მელოდიები, ფიურერის ისტერიული ბოდვა იჭრებოდა, — მლადა ტაუფროვა ხელისგულებს იფარებს თვალებზე, ცდილობს თავიდან აიცილოს უსიამოვნო მოგონებები, — ჩვენს გვერდით მიქროდა ეშელონები. „აღმოსავლეთით“ — ციმციმებდა წარწერები. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე დრო იყო. გებელსის პროპაგანდა ყოველ კუთხეში გაჰყვიროდა. რეიხის ღირსეული ჯარები მოსკოვის კედლებთან არიანო. ესესელმა, რომელსაც მე მივყავდი, გერმანული გაზეთი მაჩვენა. მასში ის საშინელი სურათები იყო დაბეჭდილი, რომლებმაც შემდგომ მთელი ქვეყანა შემოიარა: სასროლი, რომელიც მსხვერპლისათვის კისერში უნდა ესროლათ; სახრჩობელებზე ჩამოკიდებული უსულო გვამები; გადაბუგული სოფლები; მოხუცები, ქალები და ბავშვები, რომელთაც გვერდზე ჩამოკიდებული ჰქონდათ წარწერა: „პარტიზანი“... ფაშისტი ჩემს შეშინებას ცდილობდა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა: ჰიტლერელთა დანაშაულობების ამ ფოტობრალდებებს რომ ვუცქერდი, მე გავიგე, რომ მათ წინააღმდეგ მთელი საბჭოთა ხალხი იბრძოდა, — მარტო წითელი არმია კი არა, არამედ — მოხუცებიც, ქალებიც, ბავშვებიც. მე ღრმად მწამდა, რომ, რა ძნელიც უნდა ყოფილიყო ეს ომი, მაინც ჰიტლერული გერმანიის მარცხით დამთავრდებოდა. ეს ასეც მოხდა.

1945 წლის 23 აპრილს რავენსბრიუკის მთავარ მოედანზე, — ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკის ადგილზე, — ყველა შეიკრიბა, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, ენახა მტრების გარეკვა: მაღალი კაცი — საბჭოთა არმიის ოფიცერი, კაპიტნის ფორმა რომ ეცვა, დიდხანს უმზერდა ერთ ქალს. „ამხანაგებო“ — წარმოთქვა მან. უნდოდა ეს სიტყვა ხმამაღლა ეთქვა, მაგრამ არ გამოუვიდა. კაპიტანმა გაისწორა ქუდი, შეისუნთქა ჰაერი და ერთი ამოსუნთქვით ამოიძახა: „ამხანაგო ქალებო, თქვენ თავისუფალი ხართ“.

მეორე დღეს ბანაკში მოიტანეს პური და დაკონსერვებული სისხლი ავადმყოფებისათვის. „სიცოცხლის მომნიჭებელი ყოველი დღე ჩვენთვის პატარა იყო, მაგრამ გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“. — ამბობს მლადა ტაუფროვა.

გამარჯვების დღიდან სამი თვის შემდეგაც ის ყოფილ ტუსაღებს უვლიდა. ივლისში სპეციალურ ავტობუსს, რომელიც პრაღის ქარხნიდან იყო გაგზავნილი, მლადა ტაუფროვა და სხვა ჩეხი ქალები რავენსბრიუკიდან ჩეხოსლოვაკიაში მიჰყავდა იმ გზით, რომელსაც ჯერ კიდევ აჩნდა ომის კვალი.

მლადა ტაუფროვა რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანია. სსრ კავშირში ის პირველად 50-იან წლებში ჩამოვიდა. როცა ჩეხ მედიკოსთა წარმომადგენლობითი დელეგაციის წევრი იყო, და საბჭოთა ექიმების გამოცდილებას გაეცნო.

რომ ვთქვათ, ამხანაგი ტაუფროვა, როგორც ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი, ახლა ისვენებსო, ძალიან შემცდარი ვიქნებით — ჩეხოსლოვაკიის ანტიფაშისტ მებრძოლთა კავშირის ფედერალური ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში ყოველდღე მოელიან მის მზრუნველ ხელს, ის კვლავაც ხშირი სტუმარია სანიტარული განათლების ინსტიტუტისა, რომლის უცვლელი დირექტორიც იყო მრავალი წლის განმავლობაში. მლადა წინააღმდეგობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური საბჭოს წევრია.

„ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრება სამართლიანობისათვის, ჩემი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლასთან არის გადაჯაჭვული, — ამბობს ჩემი თანამოსაუბრე. — და მე კიდევ იმით ვარ ბედნიერი, რომ ჩემი თვალით ვხედავ დიად გარდაქმნებს, რომლებიც ჩემს ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების წლებში განხორციელდა. ძნელია გამოთქმა, თუ რა ბევრი რამ გაკეთდა სოციალისტურ სახელმწიფოში იმათთვის, ვინც სიცოცხლეს ქმნის, — ქალებისათვის. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თავიანთ სიყვარულს, ძალასა და ცოდნას საერთო საქმეს ქალებიც სწირავენ, როცა ისინი თავგანწირვით შრომობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მხოლოდ სოციალიზმმა გადაუშალა ქალებს ასპარეზი, რათა გამოევლინებინათ მთელი თავიანთი სულიერი ძალა და უნარი, მხოლოდ სოციალიზმმა აქცია ისინი მატერიალური ღირებულების სრულუფლებიან მფლობელად. თვითონ განსაჯეთ, რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — ფედერალური კრების დეპუტატთა 30 პროცენტი ქალები არიან. ასეთივე სურათია სახალხო ხელისუფლების საოლქო, რაიონულ, საქალაქო ორგანოებში. ქვეყნის ყველაზე მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში „პროფკავშირებში ბევრი ქალია ხელმძღვანელ პოსტებზე. და თავიანთ მოვალეობას ქალები ყველგან დიდებულად ასრულებენ. ამას საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტის გამოკვლევების შედეგებიც მოწმობს. გამოკითხულთა 90-მა პროცენტმა უპასუხა, რომ ეს ასეა. ჩეხოსლოვაკიის ქალთა ასეთი აქტიური პოზიცია ქალთა კეთილდღეობისათვის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გამუდმებული ზრუნვის შედეგია, — ხაზგასმით ამბობს მლადა ტაუფროვა.

**ვიტალი იაროშევსკი,**
საქდეხის პრაღელი კორესპონდენტი.

ნოდარ ხვედელიძე



## ოჰ, კიდევ კარგი!

იხედებოდით თქვენ მაშინ ჩვენსკენ,
იხიბლებოდით თქვენ მაშინ ჩვენით.
მაგრამ ყორნები ფარავდნენ ზესკნელს,
გვესიზმრებოდა სამოთხის დღენი.

იყო ცეცხლი თუ იყო განგაში,
არ დაგვცდენია, ღმერთო გვიშველე!
არც თქვენ გდებიათ ხმალი ქარქაშში.
გათენებამდე გეპყრათ შიმშერი.

რამდენი უსვამს ჩვენს ხალხს სამსალა,
ჟამი და ჟამი მტერთა ზეობის,
ლომებრ ვიბრძოდით და არ გვეცალა,
ერთიმეორეს გადავხვეოდით.

დღეს კი ერთმანეთს ვკოცნით, ვეხვევით,
იმ თანაგრძნობის გულით და თვალით,
ოჰ, კიდევ კარგი, რომ სულ შემთხვევით
არ მოვუქნიეთ ერთმანეთს ხმალი
იმ სიბნელეში.

## არმაზთან

ვხედავ: არმაზთან
ცის სასახლეში,
ღრუბლის კრავები იქცნენ ნუკრებად,
სინათლის კაცი
დგას სინათლეში
და შენს მომავალს ესაუბრება.

და უკან იხევს
ოდესღაც მკაცრი
ღამე — ხევებში
თავს ველარ მალავს,
ხოლო ყველაზე ძლიერი კაცი
ყავს სინათლეში
უძველეს ქალაქს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულთან მივიტანოთ ადამიანების სატკივარი

საჩივრები შემოდის რედაქციაში მოსახლეობის არადამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო მომსახურების გამო. საჩივრების უმეტესობა კოლექტიურია. აი, ზოგიერთი მათგანი.

„პლეხანოვის გამზირზე ტრანსპორტი კარგად მოძრაობს, მაგრამ ვაკის მიმართულებით მხოლოდ ერთი მე-40 ნომერი ავტობუსი დადის და ისიც ხშირად ფუჭდება. ისინი, ვინც ვაკეში ვმუშაობთ, 15-20 წუთი, ზოგჯერ მეტიც ვდგევართ გაჩერებაზე და დაძაბულნი ველოდებით ამ ავტობუსის გამოჩენას.

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ დაგვეხმაროთ. იქნებ თქვენი შუამდგომლობის შედეგად ვაკის მიმართულებით დაგვიმატონ ერთი ახალი ავტობუსი და ერთი სამარშრუტო ტაქსი".

საჩივარს ხელს აწერენ მ. ჩიხლაძე, ვ. მედვედევი, ნ. ვართანოვი, თ. ბახტაძე და სხვები.

ვინც პურის ფასი არ იცის, იმან სიცოცხლის ფასიც არ იცისო — უთქვამს ხალხს. აბა, მობრძანდით გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში! იცოცხლეთ სოფლის ცენტრის ფურნეში უმაღლესი ხარისხის თეთრ პურს აცხობენ, მაგრამ „გვიჭირს" დღეში 2-3 კილოგრამი პურის შეძენა. თალხი პური უფრო ხელმისაწვდომია, მაგრამ ათასში ერთხელ თუ გამოაცხობენ, და ისიც ყოვლად უხარისხოა და არ იჭმევა.

ძვირფასო რედაქციავ, განა ველისციხელ ქალებს დაგვავიწყდა თონეში პურის ჩაკვრა და გამოცხობა? ჰაი, ჰაი, რომ ჩვენი გამომცხვარი პური მუდამ სანაქებო იყო, მაგრამ ამ საქმეს ხომ მთელი დღე სჭირდება. მერედა, ზვრები მთელი დღე როგორ მივატოვოთ? ველისციხელი კოლმეურნე ქალების სახელით გთხოვთ მოგვხედოთ. — გვწერს ლამარა მათუზოვა.

ცივი სასმელი წყლის უქონლობაზე გვწერენ ბოლნისის რაიონის სოფელ საიარის მცხოვრებნი: „ჩვენს სოფელში 100 ოჯახია დასახლებული. მთელ სოფელს ერთადერთი წყარო ვვაქვს. ზაფხულში წყარო იკლებს და ქალები საათობით ვდგავართ წყლის რიგში. ვისაც მანქანა აქვს, ბოლნისში 10 კილომეტრზე მიდის სასმელი წყლის მოსატანად. ეს, რა თქმა უნდა, ხელს გვიშლის მუშაობაში, ირღვევა შრომის დისციპლინა. უფრო მეტიც: უწყლობის გამო შარშან სოფელში 500 სული საქონელი გაწყდა. სად არ ვიჩივლეთ, მაგრამ ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მივიღეთ: „თქვენი სასმელი წყლით მომარაგების საკითხი მეთერთმეტე ხუთწლედში იქნება განხილულიო". მაგრამ ეტყობა, ამ საკითხის გადაჭრას ვერ დაადგა საშველი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი უმწეო მდგომარეობა და დაგვეხმაროთ".

რედაქციას ატყობინებენ ძამოევა, მამედოვა, გუსაინოვა, ისმაილოვა და სხვები.

ვაზისუბნის დასახლების მე-2 კორპუსის მე-2 და მე-3 სადარბაზოებში მცხოვრებნიც იწერებიან. ქალები მთელ ღამეს ვათევთ სასმელი წყლის მოლოდინშიო.

მაგრამ, თურმე, მეორე უკიდურესობაც ხდება: თუ ვაზისუბნის დასახლების ქალები ღამეებს ათენებენ სასმელი წყლის ლოდინში, სამაგიეროდ, მახარაძის ქუჩა № 12 სახლში სხვა მდგომარეობაა. ცოდვა გამხელილი სჯობს, „გრაფიკის მიხედვით გვეძლევა ცივი წყალი. მაგრამ ერთი წელია ეზოში გახეთქილია ცივი წყლის მილი და წყალი ილვრება. სარდაფები ავსო წყლით, გვიფუჭდება სანოვაგე. ვრეკავთ ტელეფონით: 93-29-26 (ეს კალინინის რაიონის წყალსადენის კანტორის ტელეფონის ნომერია), მოვლენ მუშები, ვითომ შეაკეთებენ მილს, გაივლის რამდენიმე დღე და ისევ უქმად ილვრება წყალი". — აღშფოთებულები გვწერენ ამ სახლის მობინადრეები: ნ. ყაჭეიშვილი, ზ. ოსიპოვი, ი. სიმონოვი, რ. გოგოლაძე, თ. დეკანოსიძე, ბ. შონია, რ. ვართანოვი, დ. რევია და სხვები.

საჭიროა გულთან ახლოს მივიტანოთ სხვისი სატკივარ-საფიქრალი და დროულად დავეხმაროთ მათ.

ოლია დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიანიჭეთ ბავშვს სიხარული!

ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინათ ბავშვთა წელი აღინიშნა. რამდენი რამ გაკეთდა ბავშვებისათვის: აიგო ბაგა-ბაღები, სკოლები, მოეწყო ბავშვთა მოედნები, ყვავილნარებით დამშვენდა სკვერები, პარკებში დადგეს ახალი ანტრაქციონები, გაიხსნა სპეციალური ბავშვთა კაფეები, მაშინ შეისხა ფრთები მდინარე ვერეზე პიონერთა ქალაქის გაშენების იდეამაც.

ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს! — ამ მოწოდებით მუშაობდა ყველა საწარმო, რომლებსაც კი ბავშვთათვის რაიმეს დამზადება შეეძლო. სამკერვალო, ტრიკოტაჟის და ფეხსაცმლის ფაბრიკები თითქოს ჩვენი პატარა მომხმარებლების სურვილებს ხვდებოდნენ, მათთვის მოსაწონ, ლამაზ ნაწარმს უშვებდნენ.

და წავიდა ეს წელი, კეთილად მოსაგონარი და ნაყოფიერი. მაგრამ იგი ისე უნდა წასულიყო, რომ კვალი დაეტოვებინა, საძირკველჩაყრილი და აღმოცენებული საქმე გაეგრძელებინა და აეყვავებინა კიდეც. საპირისპიროდ მოხდა: თანდათან შესუსტდა ენთუზიაზმი, მომავლებზე — ჩვენი ცხოვრების ყვავილებზე ფიქრი, თანდათან უშვეს ხელი საწარმოებმა ბავშვთა ასორტიმენტის დამზადებას და სავალალო შედეგი მივიღეთ.

დღეს თბილისის სამკერვალო ფაბრიკები ბავშვთათვის თითქმის არაფერს კერავენ. ისინი მხოლოდ ზრდადასრულებულთათვის მუშაობენ. წყნეთის სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც წინათ მხოლოდ ბავშვთა ასორტიმენტს უშვებდა, დღეს ლოგინის თეთრეულს და ქალის წინსაფრებს კერავს. ტრიკოტაჟის ფაბრიკამ ძალიან შეზღუდა ბავშვთა ასორტიმენტი. ფეხსაცმლის ფაბრიკების ნაწარმი ხელში არ აიღება, არა თუ ჩაიცმევა (ულაზათოა, მალე ცვდება), ბავშვთა სათამაშოების ფაბრიკა ხომ მხოლოდ „საფრთხობელებს" უშვებს, არც დედოფალა ვარგა, არც დათუნია და, მოსამართი სათამაშოები ხომ მაღაზიაშივე, გასინჯვისთანავე ფუჭდება.

რა ვქნათ, რა ვიფიქროთ, ნუთუ ჩვენ ბავშვები აღარა გვყავს?

რა ჩავაცვათ, რით შევმოსოთ ისინი?

— ამაზე იყო საუბარი ამასწინათ თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში (დირექტორი ლალი დეკანოსიძე), სადაც წარმოების ხელმძღვანელები, ვაჭრობის მუშაკები და მომხმარებლები შეხვდნენ ერთმანეთს.

აქ უპირველესად, ბავშვთა ასორტიმენტზე მსჯელობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ბავშვის ტანსაცმელი, რომელსაც რესპუბლიკის სხვა ქალაქების სამკერვალოები გვაწვდიან, მუქი, მოწყენილი ფერის ქსოვილისაგან იკერება, ხანდაზმულთათვის კი კაშკაშა, მხიარულ ფერებს არჩევენ. პირიქით კი უნდა იყოს.

ამ შეხვედრაზე მთავარი ყურადღება ბავშვთა ასორტიმენტის არქონაზე გამახვილდა. მაგრამ შემდეგ მომხმარებლები თავიანთ მოთხოვნებზეც ლაპარაკობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი სამრეწველო საწარმოების მუშაობაში, რომლებიც ტანსაცმელს ამზადებენ, ერთგვარი ქაოსი დამკვიდრდა. ფიქრი, ჯანსაღი აზრი მოაკლდა მათს საქმიანობას. ქალის პალტო დაბალი ხარისხის ქსოვილისაგან იკერება და ამ პალტოს ღირებულება 70-100 მანეთს არ აღემატება; პალტოებს უკეთებენ ძვირფასი ბეწვის საყელოებს (მარტო ბეწვი 300 მანეთი ღირს) და პალტოს ფასი საოცრად იზრდება. რამდენად გამართლებულია ასეთი პალტოს შეძენა? საწყობები სავსეა ამ საქონლით, მყიდველი კი არ არის.

საერთოდ, მყიდველი მოაკლდა უნივერმაღს, — ერთხმად ჩიოდნენ ვაჭრობის მუშაკები. ის, რაც მას მოსწონს და რაც სეზონურია, წამში თავდება, ან სულ არ არის დახლზე. მაგალითად, მომხმარებელს მოეწონა ჯინსის ქსოვილისაგან შეკერილი შარვლები და ქვედა კაბები, მაგრამ ისინი ისე ცოტა რაოდენობით მიიღეს, რომ ბევრი ყიდვის მსურველი გულდაწყვეტილი დარჩა.

მომხმარებელი ვერ შოულობს ე. წ. „წვრილმანებს". ეს არის „კრუჟაოები", რეზინი, კაბების გასაწყობები და მოსართავები. გალანტერიის ფაბრიკა „კომსომოლკა", რომლის უშუალო მოვალეობა ამისთვის ზრუნვაც არის, მხოლოდ და მხოლოდ ფარდებს კერავს, და ისიც ვერ საღდება.

საწარმოების მუშაობა სტიქიურია, იკერება და იკერება ლოგინის თეთრეული (ზოგჯერ უხარისხოდაც) და ველარ იყიდება. მომხმარებელს კი ლამაზი, მოდური, გაწყობილი სეზონური ტანსაცმელი სჭირდება. ეს სამუშაო სამკერვალოებისათვის მეტად შრომატევადია, ხან ნედლეულიც არ არის შესაფერი, გასაწყობ მასალაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! და გეგმა რომ არ ჩაუვარდეთ, ან ფარდებს კერავენ, ან ზეწრებს და ქალის საოჯახო წინსაფრებს.

— მომხმარებელი მოაკლდა მაღაზიებს, — კვლავ ამბობენ ვაჭრობის მუშაკები, — ზოგჯერ შეიძლება ჩვენც ვართ დამნაშავე, ან თავაზიანობა გვაკლია, ან გვეზარება გადმოვიღოთ, ვაჩვენოთ, დრო დავკარგოთ არჩევანში, მაგრამ ერთი კია: თუ წინათ ცენტრალურ უნივერმაღში დღეში 15 ათასი მყიდველი შემოდიოდა, დღეს 800 ადამიანი მოგვდის. და უმეტესობა აქედან ისე ბრუნდება, რომ არაფერს იძენს. ვუსმენთ მათ საყვედურებს და პასუხად ვერაფერს ვეუბნებით.

— რატომ არა გაქვთ სარეცხის სარჭები?

— რატომ ეშვება დაბლა და რატომ იგრიხება წინდები?

— რატომ არ იშოვება ქალის თბილი პერანგები?

— რატომ კერავენ ულაზათოდ ბავშვის ფორმას? (რომ იყიდი, მერე გადაკეთება სჭირდება).

— რატომ არა გაქვთ ბავშვის აბაზანა, საპონი, რეზინის ბურთი, ბავშვის ყველა ზომის ფეხსაცმელი?

— რატომ არის უხარისხო სპორტული ფორმა? (გარეცხავ თუ არა გადახაგდებია).

— რატომ არის ძაფებდარღვეული თბილისის გამოშვებული ლოგინის თეთრეული?

— რატომ არის ცუდად შეფუთული სარეცხი ფხვნილები?

და ამდენი „რატომ" რომ გვესმის, შეიძლება იმიტომაც ვართ უხეშები, იმიტომ ვდგევართ და გვერდზე ვსაუბრობთ?

წერილი ბავშვის ასორტიმენტით დავიწყეთ და ამითვე უნდა დავამთავროთ. ბავშვის წყენინება არ შეიძლება. მის სათუთ სულში ყველაფერი ღრმა კვალს ტოვებს. თუ მას ლამაზ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს ვერ ჩააცმევ, კარგი სათამაშოთი ვერ გაახარებ, — ველარ შემოირიგებ, დიდობაშიც გაჰყვება თქვენდამი უნდობლობა, არაკეთილგანწყობილება. დიდი ბევრ რამეს მოითმენს, დიდს შეუძლია ყველაფერს ობიექტური მიზეზები გამოუძებნოს, მაგრამ ბავშვი ასე არ არის. მოდით და, ვისაც ფართო მოხმარების ნაწარმის დამზადება გევალებათ, თქვენს სამუშაო უბანზე დადექით იმ შეგნებით, რომ ჩვენში ყოველთვის არის ბავშვის წელიწადი, თვე თუ დღე. დაე, ყოველივე საუკეთესო ჰქონდეთ ბავშვებს!

ქ. ლიაძე

# საწებლები

## ტყემლის საწებლის მომზადება

მწიფე, სალი ტყემალი გარეცხეთ და დადგით მოსახარშად. დაასხით იმდენი წყალი, რომ ჰფარავდეს. ხარშეთ 15 წუთი. შემდეგ გადმოდგით, გააგრილეთ და გაატარეთ საცერში. საცერში გატარებული ტყემალი მოათავსეთ თიხის ან მომინანქრებულ ჭურჭელში და გახსენით თავის ნახარშში. შემდეგ შეაზავეთ დაკეპილი ნივრით, ახალი ქინძით, კამით, ოხრახუშით, მწვანე წიწაკით, მწვანე ხახვით და მარილით.

ტყემალი 1 კგ, წყალი 1 კგ, ნიორი 10 გრ, მწვანე ხახვი 50 გრ, მწვანილი 25 გრ, მარილი 10 გ.

## ახალი პამიდვრის საწებელი

მწიფე წითელი პამიდორი გარეცხეთ ცივ წყალში, შემდეგ დაჭყლიტეთ და გაატარეთ საცერში. მოათავსეთ ქვაბში, დადგით ცეცხლზე და ადუღეთ 10 წუთი. შემდეგ გადმოდგით და მასში ჩაუშვით დაკეპილი, დანაყილი ხახვი და ნიორი, ჩაუმატეთ დაფქული წითელი პილპილი. დაკეპილი ახალი ქინძი, კამა და ოხრახუში. შეანელეთ მარილით, შაქრის ფხვნილით.

პამიდორი 1 კგ. ხახვი 100 გ, ნიორი 10 გ, პილპილი 1 გ. მწვანილი 20 გ, მარილი 10 გ, შაქარი 10 გ.

## შინდის საწებლის მომზადება

შინდის საწებლის მოსამზადებლად შეარჩიეთ მწიფე შინდი, გაატარეთ საცერში. გახსენით მოხარშული ძმარნარევი წყლით ზომიერ სისქემდე. შეანელეთ მარილით, შაქრით, ხმელი სუნელით და დაკეპილი ახალი კამით და ქინძით. შეიძლება მიემატოს წმინდად დაკეპილი ახალი ან ხმელი ტარხუნა.

შინდი 1 კგ, მწვანილი 25 გ, ხმელი სუნელი 5 გ, ტარხუნა 5 გ, მარილი 5 გ, შაქარი 10 გ.

## ზაფხულის ქართული საწებელი

ზაფხულის ქართული საწებლის მოსამზადებლად შეარჩიეთ სეზონური პროდუქტები როგორიცაა ახალი, მწიფე პამიდორი, შავქლიავი, ამ მწიფე ტყემალი, ხახვი, ნიორი და წიწაკა. ყველა ესენი კარგად გასუფთავებული დაჭერით და დაჭყლიტეთ. შემდეგ ჩაუშვით ქვაბში და დადგით მოსახარშად. როდესაც საკმარისად მოიხარშება, გადმოდგით და გააგრილეთ. ამავე დროს შეაზავეთ ხმელი სუნელით და მარილით. შემდეგ გაატარეთ საცერში. საწებელი მოათავსეთ თიხის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. მოურიეთ კარგად და ჩაუმატეთ დაკეპილი ახალი კამა. ზაფხულის ამგვარი საწებელი ზომიერად თხელი და ცხარე უნდა იყოს. იგი იხმარება როგორც ცივ, ისე ცხელ, შემწვარ თევზეულსა და ხორცეულთან.

პამიდორი 800 გ, ქლიავი 600 გ, ხახვი 50 გ, ნიორი 20 გ, კამა 20 გ, ხმელი სუნელი 10 გ, პილპილი 5 გ.

კ. ბაქრაძე

წიგნიდან „ქართული და აღმოსავლური კერძების სამზარეულო".


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიანა უკლება

●

ამასწინათ მხატვრის სახლში გაიხსნა სომეხი მხატვრის გევორქ გრიგორიანის (ჯოტო) და მისი მეუღლის, დიანა უკლება-გრიგორიანის გამოფენა.

დიანა უკლება დაიბადა 1910 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში.

დიანა უკლებას დამოუკიდებელმა ხელწერამ, მისმა თვითმყოფადობამ უმალ მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და ხელოვნებათმცოდნეებმაც ბევრი წერილი უძღვნეს მის შემოქმედებას.

ამჟამად მხატვარი ქალი ქ. ერევანში ცხოვრობს, განსვენებული მეუღლის — ჯოტოს სახლ-მუზეუმის გამგედ მუშაობს და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს სომეხი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

გარეკანის პირველ გვერდზე — სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი მანანა ქისტაური. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი; მეოთხეზე — დიანა უკლებას ნამუშევარი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. ბაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ძლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის -- 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 98-98-07. საერთო განყოფილების 98-98-54. გადაეცა ასაწყობად 5.VII.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.VIII.83 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 1/3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.

ტირაჟი 130 000 შეკვ. 1686 უე 07228



დ იაკობაშვილი — ფოლადაურის პიონერთა ბანაკში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ

ინდექსი 76178